# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 15 აგვისტო 1995 № 49 (187) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 6 სექტემბერს — უცხადაძეოდ

ცუდი ამბავი გერმანიიდან და გერმანელებთანვეც დაკავშირებით: თავისი კლუბის, „აინტრახტის" ერთ-ერთ საკონტროლო თამაშში მძიმედ დაშავდა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი კახი ცხადაძე. დიაგნოზი, მტრისასო, რომ იტყვიან, ისეთი იყო — ექიმები მენისკსა და მუხლის მყესების დაზიანებაზე ალაპარაკებულან. ჯერ ცალკე რამხელა უბედურებაა ამათგან ერთიც კი, ყველამ იცის — რაღა პაციენტისთვის გასაჩენი და რაღა ან ერთი ან მეორე ფეხბურთელისთვის, იმ მუხთალ დღეს კი, ჩვენდა საწუხად, საქართველოს ეროვნული გუნდის დაცვის ლიდერს ორივე ერთად დასტყდომია.

6 სექტემბერს კი ნიურნბერგში გერმანია — საქართველოს მატჩია და ცხადაძის როგორმყოფნაზე საფიქრალს სწორედ ეს გვიმძიმებს. სხვა რაღა დაგვრჩენია, ისევ გერმანელი ექიმების იმედზე უნდა ვიყოთ, ოღონდ ეს ჯერ სამომავლო საქმეა, მანამდე კი...

— კახის ტრავმა იმდენად მძიმე იყო, ოპერაციამ თურმე რვა საათი გასტანა — გვითხრა საქართველოს ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა რამაზ შენგელიამ — რამდენი ხანი დასჭირდება ცხადაძის მუხლის მორჩენას, ამის თქმა დღეს შეუძლებელია, ერთი რამ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ნათელია — ვერც გერმანელებთან და, სავარაუდოდ, ვერც ბულგარელებთან ცხადაძეს მოედანზე ვერ ვიხილავთ...

## გიო მანჩესტერშია და ბევრსაც აპარჯიშებენ

კვირას მარშრუტით: თბილისი-მოსკოვი-ლონდონი-მანჩესტერი ახალ გუნდს „მანჩესტერ სიტის" შეუერთდა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე — გვაცნობა ლონდონიდან „სარბიელის" კორესპონდენტმა ზურაბ მეშველიამ, რომელიც გუშინ დაუკავშირდა მანჩესტერს და გიორგის გამოელაპარაკა. ქინქლაძის თქმით, მან ორშაბათს დილით ჩაატარა პირველი ვარჯიში, რომელმაც ორ საათს გასტანა. ვარჯიშის შემდეგ ტანსაცმლის გამოცვლას აპირებდა, მაგრამ უთხრეს, სად მიდიხარ, ერთ საათში მეორე ვარჯიში გვეწყებაო. ჯერჯერობით უცნობია, რა ნომრით ითამაშებს გიო, რომელსაც შაბათს ინგლისის ჩემპიონატის პირველ ტურში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" ახალ გუნდში დებიუტი ექნება. ამ შეხვედრისთვის მზადებისას „სიტიმ" გიორგის ჩასვლამდე ერთი დღით ადრე 4:0 მოუგო „ჰოლიველ თაუნს", „ტოტენჰემმა" კი შინ უმასპინძლა „ნიუკასლ იუნაიტედს" და წააგო 0:2.

## დრამა ქირქილის თანხლებით

პირველი, ვინაც ყველა რვაათასიანი დაიპყრო, ამათგან უმეტესი კი უკვე ორჯერაც, პირველი, ვინაც ეულად, სამადსამ დღეში შედგა ევერესტზე ძე-ხორციელისა და ჟანგბადის ბალონების მიუხმარებლად...

იმ დღეს ექიმებმა ძალიან იყოჩაღეს — თანამედროვე ალპინიზმის ცოცხალ-მკვდარ ლეგენდას მალე და მაღალპროფესიულად უქნეს პირი საქაოდ, მაგრამ მთამსვლელთაგან უდიადესი — რაინჰოლდ მესნერი სამთელქვეყნო ქირქილს ვერ გადაურჩება: შინ მისულს გასაღები მოუძიებია, ვერ უნახავს, ალბათ, სადმე დამრჩა ან დავკარგე, სადღა ვეძებო, მეორე სართულის ფანჯრიდან გადავძვრები სახლშიო, უფიქრია, ასვლაც დაუწყია და... რაღაც ხუთიოდე მეტრის ურბანისტული ვერტიკალი დაუძლეველი სიმაღლე აღმოჩნდა მთათა რისხვისთვის.

მისთვის საიმედოს ექიმები ვერას ამბობენ — გადარჩა, იცოცხლებს, მაგრამ ისეა დამტვრეული, ამის მთაში სიარული აწი შეუძლებელიაო.

# კიროტი, ბუბკა, მორსელი, ჯონსონი და სხვებიც

მსოფლიო პირველობის მეექვსე დღე, 10 აგვისტო დრამატული გამოდგა. 200 მეტრზე ქალთა რბენა მოიგო ამერიკელმა გვენ თორენსმა (21,77), მეორე ადგილზე იამაიკელი მერლინ ოთი დარჩა (22,12), მესამეზე კი — რუსი ირინა პრივალოვა (იმავე დროით). თორენსს საჩემპიონო მერსედესიც ერგო, მაგრამ მერე მსაჯებმა დაადგინეს, რომ მოსახვევში თორენსი შიდა ბილიკზე გადასულა და ამგვარად, გზა მოკლეზე მოუჭრია. ამერიკელს დისკვალიფიკაცია მისცეს, ოთი და პრივალოვა თითო ადგილით ალაზევეს, ბრინჯაო კი რუს გალინა მალჩუგინას ერგო.

400 მეტრზე ვაჟთა თარჯრბენში აღარ მონაწილეობდა ამერიკელი კევინ იანგი; სამაგიეროდ, სხვა ყველა იყო. 48,00 წამით გაიმარჯვა ამერიკელმა დერიქ ათქინსმა. მეორე ადგილზე ზამბიელი სამუელ მატეტე გავიდა, მესამეზე კი — ფრანგი სტეფან დიაგონა.

სამხტომში ვაჟებს არ ჩამორჩნენ ქალები და მსოფლიო რეკორდი მათაც დაამყარეს. უკრაინელ ინესა კრავეცს ფინალში ორი საწყისი ცდა ჩაუფლავდა, მაგრამ მესამეჯერ 15,50 მეტრზე გადახტა და 41 სანტიმეტრით გააუმჯობესა რუსი ანა ბირიუკოვას რეკორდი, წინა ჩემპიონატზე, შტუტგარტში რომ იყო დამყარებული. თავად ბირიუკოვა მესამე ადგილზე დარჩა.

შვიდჭიდში გაიმარჯვა 21 წლის სირიელმა ქალმა გადა შუაჰმა. მისი ოქროს მედალი სირიისთვის პირველი საჩემპიონო ჯილდოა ამ რანგის ასპარეზზე. 50 კილომეტრზე ვაჟთა სიარული მოიგო ფინელმა ვალენტინ კონონენმა.

11 აგვისტოს ორი ერთობ ღირსშესანიშნავი რამ მოხდა: მაიკ ჯონსონმა სპრინტში უმაგალითო დუბლი გაახერხა, სერგეი ბუბკამ კი მეხუთე მსოფლიო პირველობა მოიგო, რითაც მძლეოსნობის სამყაროში ბადალი არა ჰყავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, 200 მეტრზე ფინალური გარბენი ორი ფოლსტარტის გამო ერთობ გაჯანჯლდა. მონაწილეობდნენ ფრედრიქსი (ნამიბია), რიჯისი (ბრიტანეთი), გარსია (კუბა), ვილიამსი (აშშ), მოენი (ნორვეგია), ორი დასილვა (ბრაზილია) და ჯონსონი (აშშ). მოენი ევროპის ჩემპიონი იყო, ფრედრიქსი — მსოფლიოსი. ნამიბიელი თავიდან მართლაც წინ გაიჭრა, მაგრამ ჯონსონმა ბოლოს მაინც გაუსწრო, მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდიც გაიმეორა (19,79) და 400 მეტრზე ჩემპიონობას 200 მეტრზე გამარჯვებაც დაუმატა.

უკრაინელმა ბუბკამ ერთობ იოლად მოიგო ჭოკით მხტომელთა შეჯიბრი. 592 სანტიმეტრზე მხოლოდ იგი ახტა, მერე კი ახალ მსოფლიო რეკორდს — 615 სანტიმეტრსაც შეუტია. დამსწრენი ეჭვობდნენ, ბუბკა ხომ არ თვალთმაქცობსო, ვინაიდან ყველამ კარგად უწყოდა, რომ ოთხშაბათს (ანუ ხვალ) ციურიხში „ოქროს ოთხეულის" ერთ-ერთი შეჯიბრებაა და თუ რეკორდს იქ დაამყარებს, ბუბკა დიდძალ ფულს მოიხვეჭს, აქ, გეტებორგში კი მედალსა და მერსედესს უნდა დასჯერებოდა. მართლაც, რეკორდი არ გაუმჯობესებულა.

400 მეტრზე ქალთა თარჯრბენში არ უასპარეზია ბრიტანელთა კაპიტან სალი განელს. გამარჯვებული ფოტოფინიშმა გამოავლინა: ქიმ ბათონმა (აშშ) აჯობა თონია ბაფორდს (აშშ), მესამე ადგილზე კი დიონ ჰამინგზი (იამაიკა) დარჩა. გამარჯვებულმა მსოფლიო რეკორდიც დაამყარა 52,61.



ალჟირელ ნურადინ მორსელის 1500 მეტრზე ახლაც ვერავინ აჯობა

3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში კენიელ მოუზეს კიპტანუის ნაღდად შეეძლო თავისივე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ მანაც საციურიხოდ შემოინახა თავი. კიპტანუის დროა 8.04,46. ამ სახეობაში კენიელები ხშირად მთელს კვარცხლბეკს იკავებენ ხოლმე, მაგრამ მესამე ადგილზე ამჯერად საუდთა არაბეთის წარმომადგენელი ალასმარი გავიდა, თანაც აზიის რეკორდი გააუმჯობესა.

თორენსის ანალოგიური მარცხი მოუვიდა 800 მეტრზე რბენის უპირველეს ფავორიტს, მოზამბიკელ მარია მუტოლას. ნახევარფინალში მასაც გადაუცდა ფეხი თავისი ბილიკიდან, რისთვისაც შეჯიბრებიდან მოხსნეს.

ჩემპიონატის ბოლოსწინა დღე, შაბათი, ვაჟთა მარათონით დაიწყო. სტარტიდან 30 კილომეტრის გარბენის შემდეგ ექვსი კაცი დაწინაურდა. მე-40 კილომეტრამდე ლიდერობდა ლონდონის წლევანდელი მარათონის გამარჯვებული დიონისიო სერონი (მექსიკა), მაგრამ სტადიონის მიდამოებში მას გაუსწრო ესპანელმა ევროპის ჩემპიონმა მარტინ ფისმა, ვისაც თურმე მიგელ ინდურაინის მწვრთნელი ავარჯიშებს. ფისმა ფინიშს რომ უწია, სერონმა მაშინღა შეაღწია სტადიონზე. 32 წლის ესპანელის შედეგია 2:11.41. სერონმა დისტანცია 2:12.13-ში დაფარა, მესამე პრიზიორმა — ბრაზილიელმა ლუის ანტონიო დუშ სანტუშმა კი 2:12.49-ში, თუმცა ფინიშს ბარბაცით მიაღწია და მერეს კარგა ხანს ასულიერებდნენ. ამის შემდეგ კიდევ 20 წუთი გავიდა, ჩამორჩენილ მარათონელებს კი სტადიონი ტაშით ხვდებოდა ფინიშზე. საგულისხმოა, რომ ამ დღეს ფისმა სულ მეხუთედ ირბინა მარათონი და მეოთხედ გაიმარჯვა.

ამ დღეს კიდევ ოთხ სახეობაში გათამაშდა მედლები, მაგრამ უდიდესი დრამა დატრიალდა ოთხჯერ 100 მეტრზე ამანათრბენის მესამე მეოთხედფინალში, სადაც აშშ-ის გუნდმა ჯოხი დააგდო და შეჯიბრს გამოეთიშა: ჯონ დრამონდმა ხეირიანად ვერ გადასცა ამანათი ნორჩ თეოდორ მაკკოლს, ვინც მესამე ეტაპზე გარბოდა. ამერიკელებს პირველ ეტაპზე ეყენათ გრინი,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისეა, როგორც ზღაპარში

**ობილიცი (ბელგრადი) — დინამო (ბათუმი) 0:1**

ობილიცი: შარიჩი, ზორიჩი, არანოვიჩი, ნოვიჩი, ვუკჩევიჩი, პიროშევიჩი, ტომიჩი, რაშიჩი, ვაჩა, შარანცი, პოპოვიჩი

დინამო: ბალაძე, მალანია, შანიძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (მუჯირი 65), მ. მახარაძე, მაჭუტაძე, უჯმაჯურიძე, ტულუში, მინდაძე (ლონტი 75)

გოლი: მაჭუტაძე (71)

მსაჯი: რ. ბეკი (ლიხტენშტეინი)

„ცრვენა ზვეზდას" სტადიონი, 16 000 მაყურებელი.

ბათუმელებმა დებიუტი ევროთასებზე გამარჯვებით აღნიშნეს! არადა, ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ბათუმელთა მეტოქე „ობილიცი" სამტრედიელთა მეტოქეს — „ვარდარს" ეთამაშა და 2:0 მოუგო. ბათუმელები მთელი მატჩის განმავლობაში თავგანწირვით იცავდნენ თავს, განსაკუთრებით კი გამოირჩეოდა მეკარე ასლან ბალაძე, რომელმაც კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეს მატჩი „წლების სიმძიმის" მიუხედავად ბრწყინვალედ ჩაატარა და არაერთი სახიფათო დარტყმა მოიგერია. ბათუმელები, როცა ამის საშუალება მიეცემოდათ, საკმაოდ მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. მეორე ტაიმის შუახანს ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას მინდაძემ მარჯვნიდან საჯარიმოში ბრწყინვალე პასით შარიჩის პირისპირ დატოვა მაჭუტაძე, რომელმაც ტექნიკურად გაგდო ბურთი მარცხენა კუთხეში მისკენ წამოსულ მეკარეს და ბათუმის „დინამოს" ისტორიაში პირველი ევროგოლის გამტანის სახელიც დაიგდო. ბათუმელებს ამის მერეც ჰქონდათ გოლის გატანის ორი შესაძლებლობა, მაგრამ ერთხელ მსაჯმა დააფიქსირა ოფსაიდი, მეორედ კი ტულუშის ლამაზად, ვარდნით დარტყმის შემდეგ მეკარემ კუთხურზე მოიგერია ბურთი. მატჩის გმირი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ვეტერანი მეკარე ასლან ბალაძე იყო.

გუშინწინ ბათუმის „დინამო" პრეზიდენტის, თამაზ ცინარიძის ხელმძღვანელობით ოფიციალურად მიიღო აჭარის თავკაცმა ასლან აბაშიძემ, ბატონ თამაზთან საუბარიც სწორედ ამ შეხვედრით დავიწყე...

— არ მინდა პირფერობაში ჩამომერთვას, მაგრამ იმას, რასაც ასლან აბაშიძე ახლა ქართული ფეხბურთისთვის აკეთებს, ალბათ მხოლოდ საშვილიშვილო ღვაწლი თუ შეიძლება ეწოდოს.

ბათუმის სტადიონის რეკონსტრუქციას, რომელსაც ასევე თავად ბატონი ასლანი ხელმძღვანელობს, მხოლოდ ზღაპრების სიუჟეტს თუ შევადრი: დილით რომ ამოთხრილი ორმოა, საღამოს იქ უკვე შენობა დგას. აღმოსავლეთ ტრიბუნის ქვეშ ეწყობა გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და კომისართა, დოპინგ-კონტროლის ოთახები, პრესკონფერენციის დარბაზი, კაფე-ბარი და სხვა მისთანანი, სულ 75 მეტრი სიგრძის ფართობზე. ჟურნალისტებისთვის ხომ, ნულა იტყვით, ნამდვილი სამოთხე კეთდება: გადახურული პრეს-ლოჟა, ტელეფონებით, ფაქსითა და ტელექსით, თანაც ყველაზე კარგად საყურებელი ადგილიდან. ეგაა, ცოტათი წვიმები აფერხებს მუშაობას. ტრიბუნებზე დამონტაჟდება 25.000 ცალკე დასაჯდომი სკამი, აქვე იქნება 5.000 ფეხზე დასადგომი ადგილი. თურქეთიდან, იტალიიდან და უნგრეთიდან ჩამოგვდის უახლესი მოწყობილობები და აპარატურა. დავამონტაჟებთ ახალ ვიდეოტაბლოს, რომელიც გოლებს გაიმეორებს. თუ 22-ის და 24-ის თამაშებისთვის ვერ მოესწრება, შემდეგი წრისთვის უეჭველად მზად იქნება.

— თქვენი ნაუბარი მართლაც ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა გულშემატკივართათვის. ახლა კი, სანამ უშუალოდ თამაშზე ვისაუბრებდეთ, მოდით, ჯერ იმ გზაზე მოგვითხრეთ, ბელგრადამდე რომ გაიარეთ.

— გაეროს გადაწყვეტილებით, ბელგრადის აეროპორტი ჩარტერულ რეისებს არ იღებს. ამიტომაც ჯერ ოდესას ჩავფრინდით, მერე — სოფიას. სოფიაში „ობილიცის" პრეზიდენტმა „მერსედესის" ავტობუსი დაგვახვედრა და 380 დარჩენილი კილომეტრიც ამით ვიმგზავრეთ. გზები გადაჭედილი იყო ლტოლვილებით, რომელთაც მთელი სარჩო-საბადებელი ზურგზე მოეკიდათ და სამშვიდობოს გაღწევას ლამობდნენ ვინ მანქანით, ვინ ტრაქტორით, ვინ ფეხით.

— ბელგრადში თუ იგრძნობა ომის სუსხი?

— ომი ბელგრადს 200 კილომეტრითაა დაშორებული და მისი კვალი არ იგრძნობა. ამაში მთავრობის ხელიც ურევია, რომელიც კრძალავს ლტოლვილთა დედაქალაქში შესვლას და საგანგებო პუნქტების მეშვეობით დედაქალაქიდან 50 კილომეტრის რადიუსით ანთავსებს ლტოლვილებს.



ბათუმში დიდი მამითადია

— ალბათ დროა, თამაში გავიხსენოთ.

— მეტოქეზე არავითარი ინფორმაცია არ გვქონდა. ჩასვლისთანავე მათი ვარჯიში ვნახეთ და იქვე შევიტყვეთ, რომ „ობილიცს" ორი ნიგერიელი ფეხბურთელის განცხადება ვერ მოესწრო. ჩვენც მსგავსი პრობლემა გვქონდა, საუკეთესო ფორმაში მყოფი გოჩა ჩიქოვანი ვერ განვაცხადეთ, გერმანიიდან რაღაც საბუთების დაგვიანების გამო. სიტყვამ მოიტანა და, „სარბიელის" მეშვეობით მინდა ფედერაციას ვთხოვო, იქნებ როგორმე დაგვეხმაროს და ჩიქოვანი მომდევნო წრისთვის მაინც განვაცხადოთ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი ბიჭების თამაშის შემყურეს, იმედი მომეცა, რომ წარმატებულ სტარტს ბათუმში გამარჯვებითაც დავაბოლოვებთ.

მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა, მეტოქეს კარგი ფიზიკური მომზადება და თამაშის სწორი ორგანიზაცია ეტყობოდა. მართალია, ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ საოცრად ქინიანად ითამაშეს, განსაკუთრებით მათი მეათე ნომერი, შარანცი მომეწონა.

— ჩვენებიდან კი ალბათ ასლან ბალაძეს გამოყოფთ...

— მიუხედავად იმისა, რომ ასლანმა ჩინებულად ითამაშა და არაერთხელ გადაგვარჩინა, მე მაინც არ მინდა ვინმეს გამოყოფა, რაკილა ეს იყო ერთი მიზნისთვის — გამარჯვებისთვის თავგამოდებული გუნდის თამაში. ყველამ კარგად ითამაშა.

— ახალწვეულები როგორ შეეწყვნენ გუნდს?

— ჩინებულად, განსაკუთრებით სოსო მალანია. აი, დათო მახარაძეს კი მცირე ტრავმა აწუხებს.

— რამდენადაც ვიცი, ვიტალი დარასელიას ვაჟიც ბათუმის „დინამოშია".

— ვიტალი ახლა გაძლიერებულად ემზადება. მომავალი გვიჩვენებს, შესძლებს თუ არა იმ კონკურენციაში გამარჯვებას, ახლა გუნდში რომ სუფევს. ასეთი ბათუმის „დინამო" მე არ მახსოვს. ბიჭებს ვეღარ ვცნობ...

— მსაჯობაზე მინდა გკითხოთ. ერთიორჯერ მომეჩვენა, რომ მატჩის არბიტრი მასპინძლებს მიემხრო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი-ერთი ბათუმელი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მსაჯმა კი ოფსაიდი დააფიქსირა და მეორე გოლს გადაარჩინა მასპინძლები.

— ვერ დაგეთანხმებით, მსაჯობა, ჩემი აზრით, იდეალური იყო. მე შეგუებულიც კი ვიყავი, რომ გასვლით თამაშზე „დაგვწვავდნენ", მაგრამ მატჩის არბიტრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უშეცდომოდ იმსაჯა, ყოველ შემთხვევაში, მიუკერძოებლად...

— სეზონისწინა შეკრების ერთი ეტაპი თურქეთში გაიარეთ და „ტრაბზონსფორთანაც" გითამაშიათ. როგორ დამთავრდა ეს მატჩი და ტყუპებმა თუ ითამაშეს?

— 1:2 წავაგეთ, თუმცა მეორე გოლი მატჩის მიწურულს მსაჯის მიერ გამოგონებული პენალტით გაგვიტანეს. შოთამ ითამაშა და კარგადაც, არჩილს კი „დინამოსთან" შეხვედრაში მიღებული მხრის ტრავმა აწუხებდა და მინდორზე ვერ გამოვიდა. ამ თამაშის მერე ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ბათუმის „დინამო" კარგ ფორმაში ხვდებოდა ევროპულ დებიუტს.

— და ბოლოს, გამიგონია, ასლან აბაშიძემ გამარჯვების ღირსეულად დაფასება იცისო...

— მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში გვიან ღამით ჩამოვფრინდით, ბატონი ასლანი აეროპორტში შეგვეგება. მეორე დღეს კი დიდი მიღებაც მოგვიწყო. იგი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ფეხბურთის განვითარებით და ამას ყოველდღიური საქმითაც ადასტურებს, სტადიონის რეკონსტრუქციას ხომ პირადად ხელმძღვანელობს...

მოკლედ, განმეორებითი მატჩისთვის ბათუმი სტუმრებს ელის. ჩამობრძანდით, „სარბიელის" კორესპონდენტებს პერსონალურად გეპატიჟებით...

**მამუკა ქვარაცხელია**



ასლან ბალაძე საქმეში

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გუნდებმა განაცხადებში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს:**

კოლხეთი 1913 გელა გაბისონია (1970), გია გოგუა (1969), მიხეილ ქობულაძე (1974)

ზუგდიდი ენრიკო ბერიშვილი (1971), ლევან ბერიშვილი (1975)

მეტალურგი კახაბერ კვინტრაძე (1971), ალექსანდრე რეხვიაშვილი (1974)

მარგვეთი ჯაბა წიკლაური (1968)

იბერია ნოდარ პაპიძე (1977), გენადი კაციაშვილი (1970), ივანე ხარაზიშვილი (1963)

გურია მალხაზ ახვლედიანი (1970), ალექსანდრე კუნჭულია (1972), ალექსანდრე გოგობერიშვილი (1977), გიორგი ოქროპირიძე (1972)

სიონი ილია ღურჭუმელია (1974), გურამ მეტრეველი (1978), გაგი ცოტაძე (1975)



# უიმედონი რატომ გგონივართ?

თბილისის „დინამოს" პირველი მატჩი უეფას თასზე პლოვდივში „ბოტევთან" მასპინძელთა მინიმალური გამარჯვებით კი დასრულდა, მაგრამ თავისთავად არაუშავს რა 0:1-ის მიუხედავად, ჩვენების თამაში საკმაოდ უფერული გახლდათ. „დინამოს" საპასუხო თამაშისთვის სამზადისზე, გუნდის გეგმებსა და მოსალოდნელ ცვლილებებზე ვესაუბრეთ მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს.

— პლოვდივში „დინამოს" უფერული თამაშის მიზეზთა თქვენეული ახსნა, ბუნებრივია, ყველას გვაინტერესებს...

— არის მატჩები, რომლებიც შეიძლება წააგო, მაგრამ ლამაზად ითამაშო. ჩვენ ეს ვერ შევძელით, ორივე ნახევარი სუსტად ვითამაშეთ. უპირველესად, ეს ნახევარდაცვის ხაზზე ითქმის — მოედნის ცენტრში ბურთი ვერ დავიჭირეთ. მე, რა თქმა უნდა, ჩემს შეცდომებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ასეთ სუსტ თამაშს ნამდვილად არ ველოდი, მითუმეტეს, რომ თურქეთში გამართული საკონტროლო მატჩები იმედის საფუძველს იძლეოდა. სასურველი იყო, ამ თამაშამდე ეროვნულ ჩემპიონატში ერთი ან ორი შეხვედრა გაგვემართა, მაგრამ ფიზიკურად ეს შეუძლებელი გახლდათ. მართალია, სტუმრად დავმარცხდით, მაგრამ ამ წარუმატებლობამ შიში არ უნდა ჩაგვინერგოს. მომდევნო თამაში წინაა და ვეცდებით ჩვენი დავამტკიცოთ.

— საპასუხო მატჩისთვის ვინმე ხომ არ დაგემატებათ?

— დაგვემატება ლობჟანიძე, რომელსაც ორი გაფრთხილება ჰქონდა. ვარჯიშობს გიორგი ანჩაბაძეც, რომელმაც ახლახან ოპერაცია გადაიტანა. გიორგიმ უკვე საკონტროლო შეხვედრაშიც ითამაშა. ჯერჯერობით მისი მომზადების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი, ასეთი რანგის თამაშებზე კი მოუმზადებელი ფეხბურთელის გამოყვანა მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

— მეტოქის „სუსტი წერტილები", ცხადია, „მონიშნული" გექნებათ...

— პირველი, რაც თვალში საცემია, ისაა, რომ მეტოქის ზოგი მცველი ერთობ ნელია. მეორე — არც ნახევარდაცვის ხაზია უნაკლო, ისინი ხშირად უკან ჩასვლას ვერ ასწრებენ. ამ და კიდევ სხვა ფაქტორებს გავითვალისწინებთ. ვეცდებით, სიჩქარეს მოვუმატოთ და რაც შეიძლება სწრაფი ფეხბურთი ვითამაშოთ. დარწმუნებული ვარ, თბილისში ბულგარელები ექვსი-შვიდი მცველით ითამაშებენ.

— ხომერიკ-კაჭარავას დუეტზე რას გვეტყოდით?

— საერთოდ, თავდასხმის კარგი თამაში ნახევარმცველებზეა დამოკიდებული. თუ ისინი პასებით არ მოამარაგეს, მარტონი რას გახდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთში ჩვენი ნახევარმცველები არ ჩანდნენ, თავდამსხმელებმა ორი-სამი რეალური საგოლე მომენტი მაინც შექმნეს. მათ შეცვლას არ ვაპირებ. იმისთანა ათლეტურ და მაღალ მცველებთან, „ბოტევს" რომ ჰყავს, ხომერიკს და კაჭარავას მეტი შანსი აქვთ.

— გოგიჩაიშვილს კი, ალბათ, ამპლუა შეეცვლება...

— პლოვდივში კახა მარჯვენა მცველის პოზიციაზე დავაყენე. ეს გარკვეულმა პრობლემებმა გამოიწვია. თბილისში ის ჩვეულ ამპლუაში ითამაშებს — წინ წაიწევს და თავდამსხმელებს შეეშველება. გოგიჩაიშვილი უნარით მაინც შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი.

— მარცხმა და სუსტმა თამაშმა ბიჭები ალბათ ფსიქოლოგიურად მოშალა. უეჭველია, ამაზეც მოგიწევთ ფიქრი...

— რატომ გგონიათ, რომ გუნდში უიმედო განწყობაა. სულაც არა! ინებავთ, თვითონ გაესაუბრეთ ბიჭებს და ნახავთ, რას ფიქრობენ. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ახლა მარტო ამაზე რომ ვიფიქროთ და ვიტიროთ, საქმე გაფუჭდება. მთავარია, სწორი დასკვნები გავაკეთოთ და მეტოქეებს ღირსეულად დავხვდეთ.

— გულშემატკივრებთანაც ხომ არ „დაგვაბარებდით" ერთი-ორ სიტყვას?

— თბილისის „დინამო" რომ მრავალი გულშემატკივრის საყვარელი გუნდია, ეს არ ახალია. ჩემი თხოვნა იქნება, 22 აგვისტოს არ დაიზარონ და მხარი დაგვიჭირონ, ბიჭები გაამხნევონ, დანარჩენი ჩვენზე იყოს...

დავით ყიფიანთან საუბრის შემდეგ ფეხბურთელებს გამოველაპარაკე. უკლებლივ ყველა ბრძოლის ჟინზეა და ერთი აზრი უტრიალებთ თავში — დაამარცხონ „ბოტევი". კიკნაძემ და დემეტრაძემ, აუცილებლად მოვუგებთ, ოღონდ მაყურებელი მოვიდეს და გვიქომაგოსო. თქვენ ითამაშეთ და, დარწმუნებულნი იყავით, „დინამოს" გულშემატკივრები თავიანთ სათქმელს 22 აგვისტოს იტყვიან-მეთქი, შევპირდი და არა მგონია, ვცდებოდე...

**მამუკა კვანტალიანი**

მე-2 ტური, 9 აგვისტო

### კახეთი 0:2 ტორპედო

კახეთი: ჩიქვინიძე, ქააძე, კაციტაძე (სანადირაძე 13), ათუაშვილი, ნაკუდაიძე, ტარულაშვილი (კახოიძე 46), ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, გაგნაშვილი, ბაბულაიძე, ლვინიაშვილი

ტორპედო: ხელაძე (მამარდაშვილი 88), შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, ვოსკანოვი, ნიქარიშვილი, ჩხეტიანი (გიორგობიანი 82), ხუნდაძე, ნოზაძე, აშვეთია (შენგელია 83), კვეტენაძე

0:1 აშვეთია (55), 0:2 აშვეთია (73)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

### იბერია 1:2 მეტალურგი

იბერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, გეგეჭკორი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ტყემალაძე, იობაშვილი, ჩადუნელი, კაციაშვილი, ქობელაშვილი, ლომიძე (ნოზაძე 54, გლუნჩაძე 66)

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, ბურნაძე (ტარტარაშვილი 56), არჩვაძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ყაველაშვილი, ჩალაძე (კვინტრაძე 68), ზირაქიშვილი, მეტრეველი, ალადაშვილი

0:1 ზირაქიშვილი, 0:2 ჩალაძე (63), 2:1 ლაცაბიძე (72)

გაფრთხილება: ლაცაბიძე, მეტრეველი

მსაჯი: ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

### სიონი 0:2 კოლხეთი

სიონი: დალაქიშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, რუხაძე, ბურდული (მეტრეველი 75), გოგოლაძე, ტორომელიძე, მოსეშვილი, ჯაგიდისი (ფაიქიძე 65), ანდღულაძე

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, ქუნთელია, გოროზია, გოგატაძე, კიკლიაშვილი, ქობულაძე, ამბიძე (ლალანიძე 62), გაბისონია (ბულუხია 71), თიბილაშვილი

0:1 გაბისონია (68), 0:2 მიქაბერიძე (82)

გაფრთხილება: შაკიაშვილი, თიბილაშვილი

მსაჯი: მ. მალაღურიძე (თბილისი)

### გურია 2:1 ზუგდიდი

გურია: ჭურაძე, ახვლედიანი, იმნაძე, კუკულაძე, ღურწკაია, ღორია, ყოლბაია, განიევი (ებრალიძე 73), გოგიბერიშვილი, ჭუმბურიძე, დანიბეგაშვილი (ჭყონია 63)

ზუგდიდი: მიქაია (მიქავა 46), ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ჭაჭუა, კვარაცხელია, კუტალია, გაბედავა, ქაძანაია, ლ. ბერიშვილი

1:0 ჭუმბურიძე (32), 2:0 ყოლბაია (39), 2:1 ლ. ბერიშვილი (73)

გაფრთხილება: იმნაძე

მსაჯი: შ. ბერიძე

### ეგრისი 0:2 მარგვეთი

ეგრისი: ბულია, ხევსურიანი, დანელია, ბენდელიანი, წულაია, ნოდია, შამბერიძე, რუსია, თორია (იოსელიანი 78), თვარაძე, კალანდაძე (...კია 52)

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლონლაძე, უკლება (ფოცხვერაშვილი 65), ჩხეტია (გენაძე 60), სულაკაძე, წიკლაური, კიკნაძე, ენდელაძე

0:1 ენდელაძე (35 პ), 0:2 ენდელაძე (70)

გაფრთხილება: შალამბერიძე, თორია

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

BEAU (20) MONDE

## დავიდ ჟინოლა

დაიბადა 1967 წლის 25 იანვარს სან-ტროპეში
სიმაღლე 186 სმ.
წონა 82 კგ.
კლუბები: „ნიცა“, „ტულონი“, „პარი სენ ჟერმენი“, „ნიუკასლ იუნაიტედი“
მიღწევები: 1994 წლის საფრანგეთის ჩემპიონი, 1995 წლის საფრანგეთის თასის მფლობელი.

# თავხედი ვამპირთა შორის

„თავისუფლად შემიძლია, პარასკევს კაცის სისხლი დავლიო, შაბათს კი მას ორი ნანატრი საგოლე პასი მივაწოდო!“ — ამ სიტყვების მთქმელი ერიკ კანტონა მართლა ვამპირი არ გეგონოთ, უბრალოდ, ასე განმარტავს განსხვავებას პირად ურთიერთობებსა და პროფესიონალიზმს შორის. კანტონას იმის თქმა უნდა, რომ შესაძლოა ადამიანი ეზიზღებოდეს, მაგრამ ამას საქმესთან კავშირი არა აქვს და თუ ეს საძულველი პიროვნება მისი თანაგუნდელია, მოედანზე მასთან ერთად, თამაშის მოსაგებად, ყველა ღონეს იხმარს. ფრანგ ვარსკვლავს მართლაც რომ უნდოდეს იმ კაცის სისხლის დალევა, ვისზე ლაპარაკის დროსაც თქვა ზემომოყვანილი ფრაზა, ვფიქრობთ, არაფერი გამოუვა. ის კი არა, ფრთხილად იყოს, პირიქით არ მოხდეს, რადგან მისი თანამემამულე და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში თანაგუნდელი, მასავით თავდამსხმელი დავიდ ჟინოლა იმის ჩიტი არ გახლავთ, ვინმეს „დონორად“ ასე იოლად დაუდგეს.

ახლა, მოდით, კონფლიქტის სათავე გამოვიძიოთ, მითუფრო, რომ ჟინოლას სიძულვილი კანტონას გარდა ჟან-პიერ პაპენსაც ჩაზვევია გულში. ორ ასეთ ვარსკვლავთან ქიშპს, დამეთანხმებით, კარგი ვაჟკაცი ბიჭი სჭირდება. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქმე ის გახლავთ, რომ სადღაც 1993 წლის შემოდგომით (ახლოვდებოდა 17 ნოემბრის ჯოჯოხეთური ღამე, როდესაც „პარკ დე პრენსზე“ ბულგარელმა კოსტადინოვმა ფრანგებს ბოლო წამზე გაუტანა გოლი და მსოფლიოს ჩემპიონატის მილმა დასტოვა) პაპენმა განაცხადა, ჩემსა და კანტონას გარდა მესამე თავდამსხმელის ყოლას, მოედანზე ცოტა უკან ერთი დამატებითი ნახევარმცველი მიჯობსო. ეს კი ნიშნავდა, ეგ ჟინოლა მომაშორეთ და ჩემი მეგობარი კორენტინ მარტინი ათამაშეთო. ჟან-პიერი მარტინს დიდად აფასებდა და იმხანად თავის გუნდს „მილანსაც“ კი ურჩევდა ამ ფეხბურთელის ყიდვას. პაპენის ავტორიტეტი ფრანგთა შორის იმხელა იყო, მის სიტყვას ლამის კანონის ძალა ჰქონდა, ამიტომაც აღმოჩნდა ჟინოლა ბულგარელებთან თამაშში სათადარიგოთა სკამზე. თუმცა მანამდე, აი, რა მოხდა — შეურაცხყოფილმა და გაბრაზებულმა ჟინოლამ გაზეთ „ანტრევიუს“ განუცხადა: „პაპენს ეშინია, რომ თუ მე ვითამაშებ,



დავიდმა „ნიუკასლის“ ფორმაც მოირგო და ბელგიელ ფილიპ ალბერსაც დაუმეგობრდა

ჩემს ჩრდილში მოექცევა.“ ამ ნათქვამს კუდები მოგვიანებით გამოაბეს, მანამდე კი 17 ნოემბერი დადგა და ბულგარეთთან თამაში გაიმართა. როგორც მოგახსენეთ, დავიდი თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ მეორე ტაიმის შუაში პაპენი რაღაც სპაზმებმა შეაწუხა და სამფეროვანთა მაშინდელმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ იგი მოედანზე შეიყვანა. თამაში მთავრდებოდა, ფრანგებს ამერიკის საგზურამდე რამდენიმე წამიღა აშორებდა, როდესაც ჟინოლამ ბურთი არ გააჩერა, რამაც ბულგარელებს იმ ისტორიული კონტრშეტევის საშუალება მისცა, კოსტადინოვის გოლით რომ დამთავრდა. „კბილთა ღრჭენა“ საფინალო სატსვენისთანავე დაიწყო. ულიემ იქვე, პრეს-კონფერენციაზე ჟინოლას კრიმინალისტი უწოდა. ფეხბურთელმა რადენიმე საშინელი დღე გადაიტანა. ყველამ გაიხსენა მისი ნათქვამი, პაპენს ჩემი ეშინიაო და ატყდა ერთი ამბავი. თამაშის წინ პროვოკაციული გამოსვლებით გუნდში ცუდი ატმოსფერო დანერგა, ეს ნაღდად მტრედებში კატის შეგდება იყოო.

„გულის სიღრმეში ყოველთვის მჯეროდა, რომ მართალი ვიყავი. ცნობილი მწვრთნელები არც მალავენ, რომ ნაკრებში მუდმივად მათამაშებდნენ. ამის გამგონე პაპენს და კანტონას, თუ უნდათ, სულ გულები დახეთქვიათ. ვერც კი აგიხსნით, რა ვიგრძენი, რომ გავიგე, ბულგარელებთან ულიეს ჩემი სათადარიგოზე დასმაც კი არ სურდა. მაშინ იყო, პაპენზე პრესაში რომ ვილაპარაკე, მაგრამ მიჯობდა ყველაფერი თავად პაპენისთვის პირში მეთქვა. წაგების შემდეგ პრეს-კონფერენციაზე მისვლა არც მინდოდა. მერე დაწერეს, იმიტომ წავაგეთ, რომ ჟინოლა სრულყოფილი პროფესიონალი არ არის და სამტრედეში კატებს აგდებსო. ეს სისულელეა. ის მატჩი მეტად მნიშვნელოვანი იყო და ასეთ დროს მოედანზე მნიშვნელობა არა აქვს, ცხოვრებაში ვისთან რა ურთიერთობა გაქვს.“ — თქვა მოგვიანებით დავიდმა.

ჟინოლას „სისხლისმსმელმა“ კანტონამ, რომელსაც აგრეთვე არ ესიამოვნა, მისსა და პაპენის სამფლობელოში ვიღაც თავხედი რომ შეიჭრა, თქვა: „მართალია, მან ფეხბურთის თამაში იცის, მაგრამ თუ ვარსკვლავი ხარ, მოედნის გარეთაც ასეთი უნდა იყო. რაც თამაშამდე პრესაში ილაპარაკა, საძაგლობა იყო. ის ჩემი მეგობარი ვერასდროს გახდება, ანკი რა სავალდებულოა, ყველა თანაგუნდელთან მეგობრობდე, მაგრამ მინდორზე ყველაფერი უნდა დაივიწყო.“

ამგვარად, მთელი ბულგარული ლაფი ჟინოლას შეაზილეს, მაგრამ 17 ნოემბრიდან წლის ბოლომდე რაღა იყო დარჩენილი. დადგა „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამორკვევის დროც და არავის გაკვირვებია, ასეთად სწორედ დავიდ ჟინოლა რომ აღიარეს. ისინიც კი, ვინც ფრანგულ ფიასკოს მთლიანად მას აბრალებდნენ, იმავდროულად აცხადებდნენ, რომ საუკეთესო ჯილდო სხვას არავის ერგებოდა. დავიდმა წლის ისეთ გმირსაც გაუსწრო, როგორიც ბაზილ ბოლი იყო, რომელმაც ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანს“ გოლი გაუტანა და პირველად ისტორიაში პრესტიჟული პრიზი მარსელიოზას ქვეყანაში წაიღო. ჟინოლა მაინც ნაწყენი იყო: „როცა წლის საუკეთესო გავხდი, ყველამ აღიარა, რომ ნაკრებში ადგილი მერგებოდა. კარგი იქნებოდა, ამის სათქმელად ვაჟკაცობა ბულგარეთთან თამაშამდე ყოფნოდათ.“

როგორც ამ წერილის თავში, „საპასპორტო მონაცემში“ წავიკითხეთ, დავიდ ჟინოლა სან-ტროპეში დაიბადა. სან-ტროპე ის ქალაქია, სადაც მდიდარი ფრანგები იკრიბებიან ხოლმე. 13 წლისა ნიცას სკოლაში „პარკ იმპერიალში“ შეიყვანეს. მამამ საფეხბურთო კლუბ „ნიცაშიც“ მიაბარა, სადაც იმხანად 17 წლის დანიელ ბრავო ციდან ვარსკვლავებს წყვეტდა. ჟინოლა იგონებს: „ბიჭები საგანგებოდ ბრავოს სანახავად დავდიოდით. ჩემთვის გაუგებარია, ამ ფენომენალურმა ფეხბურთელმა რად ვერ გაიკაფა გზა დიდების მწვერვალისკენ. მაშინ „ნიცას“ გულშემატკივრებმა უარპყვეს იგი, რადგან გუნდის ხელმძღვანელობამ მათ ტყუილი უთხრა, თითქოს ლორან ბლანი რომ „ნიცაში“ ვერ გადავიდა, ბრავოს ბრალი იყო.“ ჟინოლა ბრავოს ყოველთვის, აშკარად იცავდა, მაგრამ აქ სხვა ამბავიც იყო; კერძოდ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, „ნიცას“ ხელმძღვანელობამ თავად დავიდზე თქვა უარი, აქაოდა, ტექნიკური კი არის, მაგრამ გაწრუპულია და სუსტიო. მაშინ ჟინოლას მამა „ნიცას“ ცენტრის მთავარ მწვრთნელთან მივიდა და სთხოვა, ვინძლო ჩემს ვაჟს ასპირანტის კონტრაქტი მაინც გაუფორმოთო, მაგრამ პასუხად ცივი უარი მიიღო. ეს კაცი თურმე ჟინოლაში საერთოდ ფეხბურთელს ვერ ხედავდა. რამდენიმე კვირაში „გაწრუპული და უვარგისი“ „ტულონში“ აიყვანეს. აქაურმა მწვრთნელმა კრისტიან დალჟერმა ბიჭს ერთი-ორჯერ შეხედა და მიხვდა, რომ ასეთი ტექნიკისა და ნიჭის პატრონი ხელიდან არ უნდა გაეშვა, ხოლო რაც შეეხება ჯანს, ეს დროის ამბავი იყო. გავიდა თვრამეტი თვე და კალენდარმა „ტულონი“ „ნიცას“ შეახვედრა. ცხადია, „ტულონმა“ მოიგო — 2:1 და ისიც ცხადია, რომ ერთი გოლი თავად დავიდმა გაიტანა, მეორე კი გაატანინა. მოკლედ, ყველაფერი კინოს კანონებით მოხდა. ამბობენ, „ნიცას“ შეფი იმ დღეს სიბრაზისგან პამიდორივით გაწითლდაო. იმთავითვე აშკარა იყო, რომ „ტულონი“ ჟინოლასთვის მხოლოდ ტრამპლინი იყო. ამიტომაც არავის გაკვირვებია, ერთ მშვენიერ დღეს „პარი სენ ჟერმენის“ მაისური რომ ჩაიცვა. პარიზელთა რიგებში გატარებული ერთობ წარმატებული წლების შემდეგ კი ამ ზაფხულს მან კევინ კიგანის „ნიუკასლ იუნაიტედს“ მიაშურა. არადა, ერთი წლის წინ ფეხბურთელი იტალიასა და ესპანეთზე ოცნებობდა: „მილანი“ და იტალიის ჩემპიონატი ჩემი ოცნებაა. „სერია A“ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებაა. ყველას იქ სურს თამაში.“ ამას ისიც ემატებოდა, რომ, როგორც ირკვევა, ჟინოლები წარმოშობით იტალიელები ყოფილან პიემონტეს მხრიდან. მეორე მხრივ, ინგლისურმა კლუბებმა წლეულს იმდენი ვარსკვლავი იყიდეს, რომ იქნებ დავდი არჩევანში არც შემცდარა.



ჟინოლას მილანელი ხორვატი ზვონიმირ ბობანი მხოლოდ ასე თუ შეაჩერებდა.

ახლა მის სახლშიც შევიხედოთ. თუ დათვალიერებას საგნებით დავიწყებთ, თვალში გვეცემა 700-ზე მეტი კომპაქტ-დისკი. მოკლედ, დავიდ ჟინოლა მელომანია. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, ჰყავს მეუღლე და სამი წლის ანდრეა. დავიდის კიდევ ერთი გატაცება მოგზაურობაა. ერთ დღეს მან აღმოაჩინა, რომ ფეხბურთელის ცხოვრება მეტად თავისებურია და რომ თუ ქვეყანას სწორედ ფეხბურთელის თვალით უყურებ, ეს ნიშნავს, რომ წარმოდგენა არა გაქვს, რა ხდება ირგვლივ. თავად განსაჯეთ, ფეხბურთელს აჭმევენ, ავტობუსში ჩასვამენ, თვითმფრინავთან მიიყვანენ, იქაც ავტობუსს დაახვედრებენ, კვლავ აჭმევენ, დააძინებენ და ასე შემდეგ. თუ ნამდვილი ცხოვრების ნახვა გინდა, პატრონის გარეშე, თვითონ უნდა მოიარო ქვეყანა. ჟინოლას სურს, ცოლ-შვილსაც აჩვენოს მედლის მეორე მხარე, სხვანაირი ცხოვრება და ნეპალისა და ამაზონის ტყეებში მოგზაურობაზე ოცნებობს. თუმცა დღეს ამისათვის დრო არა აქვს და იძულებულია, მეგობრებთან გოლფის თამაშით შემოიფარგლოს. მას, როგორც პროფესიონალს, ყოველი წუთი ძვირად უღირს. ირგვლივ კონკურენციაა. ჟინოლამ ისიც კარგად იცის, რომ: „მე რომ დაბალი და გონჯი ვყოფილიყავი, ვერც კი ვინატრებდი, რომ ვინმე ჩემს ნიჭს შეამჩნევდა. ეს მარტო ფეხბურთს არ ეხება, ცხოვრების ყველა სფეროში ასეა. მაგრამ ვინც წარმოსადეგი და ლამაზია და თან პროფესიაშიც მწვერვალს მიაღწია, მზად უნდა იყოს მძიმე დღეებისათვის, რომლებიც აუცილებლად დაუდგება. ასეთებს სხვებზე ორჯერ მეტი პრობლემები აქვთ. საბედნიეროდ, მე ვისწავლე კრიტიკის თანხლებით ცხოვრება და ნურავის ექნება იმედი, რომ ცხოვრებას ხმის ამოუღებლად, თავდახრილი გავატარებ.“

პაპუნა კედია

## ავსტრია

III ტური. აუსტრია — ლინცერი 0:1, გრაცერი — რაპიდი 1:2, ტიროლი — ფორვარტსი 5:1, ადმირა ვაკერი — კაზინო 1:2, რიედი — შტურმი 2:4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაზინო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ტიროლი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| შტურმი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:5 | 6 |
| რაპიდი | 3 | 2 | 0 | 1 | [illegible] | [illegible] |
| ლინცერი | 2 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| რიედი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| აუსტრია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:2 | 3 |
| გრაცერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ადმირა ვაკერი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |
| ფორვარტსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

# დღეს და ხვალ ევროპაში

საზაფხულო არდადეგების შემდეგ დღეს განახლდება შეჯიბრებები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში. რვა ჯგუფიდან საქმეში ჩაერთვება ყველა, ჩვენი, მეშვიდე ჯგუფის გარდა, რომლის ჯერი 6 სექტემბერს დადგება. დღეს ერთი მატჩია, VI ჯგუფში ლიხტენშტეინი პორტუგალიას უმასპინძლებს, ხვალ კი ლატვია ავსტრიას შეხვდება. VIII-ში შოტლანდიელები ბერძნებს მიიღებენ. ცნობილია შოტლანდიელთა ოცი ფეხბურთელი. ესენია: ლეიტონი, გორამი, უოკერი, მაკიმი, ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი, მაკლარენი, მაკინონი, კოლინზი, მაკალისტერი, მაკინლი, მარტინი, ბერლი, ჯემილი, მაკოლი, ჯექსონი, შირერი, სპენსერი, ფერგიუსონი. ფინელები რუსებს ხვდებიან, V-ში ნორვეგია ჩეხებს ეთამაშება, IV-ში ესტონეთი — ლიტვას, III-ში სომხეთი — დანიას. ორი თამაშია I ჯგუფში: ჩვენი მეზობლები აზერბაიჯანელები სლოვაკებს მასპინძლობენ, ფრანგები კი პოლონელებს. საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელებმაც წინასწარ დაასახელეს ის ფეხბურთელები, რომლებიც მატჩის განაცხადში იქნებიან: ლამა (პსჟ), მარტინი (მონპელიე), ანგლომა (ტორინო), დესაი (მილანი), ლებუკი (სტრასბური), ლიზარასუ (ბორდო), როში (პსჟ), ტურამი (მონაკო), დეშამპი (იუვენტუსი), ჟორკაეფი (პსჟ), გერინი (პსჟ), კარამბიუ (სამპდორია), ლეგენი (პსჟ), ზიდანე (ბორდო), კოკარი (ოსერი), დუგერი (ბორდო), პედროსი (ნანტი), ჟინოლა (ნიუკასლ იუნაიტედი).

# ბორა კვლავ მექსიკაშია

ამასწინათ გაუწყეთ, რომ მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გაანთავისუფლა მიგელ მეხია ბარონი. განათლებით სტომატოლოგმა ბარონმა მექსიკელებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უხელმძღვანელა და ახლახანს დამთავრებულ „კოპა ამერიკაზეც“. ქვეყნის ეროვნული მწვრთნელის პოსტი უპატრონოდ ერთ კვირაზე ოდნავ მეტხანს თუ იყო. ამ დღეებში მექსიკური ფეხბურთის თავკაცებმა დაასახელეს ახალი ხელმძღვანელი, სერბი ბორა მილუტინოვიჩი, ცნობილი სპეციალისტი, რომელიც ამ გუნდს 1982-86 წლებში უკვე უდგა სათავეში. მილუტინოვიჩი 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კოსტარიკას წვრთნიდა, 1994 წელს კი აშშ-ს.

## თასების თასი

| | |
|---|---|
| ობილიცი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ბათუმი (საქართველო) | 0:1 |
| ტილიგული (ტირასპოლი, მოლდოვა) — სიონი (შვეიცარია) | 0:0 |
| ვაც სამსუნგი (უნგრეთი) — სილექსი (მაკედონია) | 1:1 |
| ტ.პ.ს. ტურკუ (ფინეთი) — ტეუტა (დურეში, ალბანეთი) | 1:0 |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) — პრადეც კრალოვე (ჩეხეთი) | 0:5 |
| აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) — ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიჯანი) | 3:0 |
| რექსჰემ იუნაიტედი (უელსი) — პეტროლულუ (პლოეშტი, რუმინეთი) | 0:0 |
| ვალეტა (მალტა) — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) | 0:0 |
| შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) — ლინფილდი (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) | 4:1 |
| ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) — მურა (მურსკა სობოტა, სლოვენია) | 2:0 |
| გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი) — არარატი (ერევანი, სომხეთი) | 2:0 |
| დერი სიტი (ირლანდია) — ლოკომოტივი (სოფია, ბულგარეთი) | 1:0 |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — კ.ი. (კლავსვიკი, ფარერები) | 4:0 |
| დინამო-93 (მინსკი, ბელარუსი) — მოლდე (ნორვეგია) | 1:1 |
| დ.ა.გ. (ლეიპაია, ლატვია) — ლანტანა (ესტონეთი) | 1:2 |

# ესპანური სიძვირე

ესპანეთის ჩემპიონატი 3 სექტემბერს იწყება. ამდენად, თუ ზოგ ქვეყნებში პირველობები უკვე მიმდინარეობს და სატურნირო ცხრილებსაც გთავაზობთ, ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ტრანსფერების შეჯამება და ანალიზი მიმდინარეობს. ამასწინათ გაგაცანით ესპანური გადასვლა-გადმოსვლების შეძლებისდაგვარად სრული ნუსხა, დღეს კი მათგან ათი უძვირესი გარიგების სიას გთავაზობთ.

| | | | |
|---|---|---|---|
| კოდრო | რეალ სოსიედადი | ბარსელონა | 5,7 მლნ $ |
| იოვანოვიჩი | ოვიედო | ტენერიფე | 4,9 მლნ $ |
| კუელიარი | ბეტისი | ბარსელონა | 4,7 მლნ $ |
| იარნი | იუვენტუსი | ბეტისი | 4,4 მლნ $ |
| ეჩებერია | რეალ სოსიედადი | ატლეტიკი | 4,5 მლნ $ |
| პოპესკუ | ტოტენჰემი | ბარსელონა | 4,4 მლნ $ |
| ვიოლა | კორინთიანსი | ვალენსია | 4 მლნ $ |
| რადჩენკო | სანტანდერი | დეპორტივო | 3,1 მლნ $ |
| ფიგუ | სპორტინგი (ლისაბონი) | ბარსელონა | 2,8 მლნ $ |
| კორეა | რივერ პლეიტი (მონტევიდეო) | ატლეტიკო | 2,4 მლნ $ |



# 30 ვერცხლის დიდოსტატი



ასეთი იყო ბერნარ ტაპი დაპატიმრებამდე

ფრანგული ფეხბურთის სკანდალური პიროვნება, სახელგატეხილი პოლიტიკოსი და გაკოტრებული ბიზნესმენი ბერნარ ტაპი ციხეშია. მას მექრთამეობაში სდებენ ბრალს. და აი, ახალი რისხვა. მისი გუნდის მარსელის „ოლიმპიკის" ყოფილმა ფეხბურთელმა, სახელგანთქმულმა ჟან-პიერ პაპენმა პრესაში განაცხადა, რომ ტაპიმ 1993 წელს იყიდა... ჩემპიონთა თასის ფინალი. მაშინ პაპენი უკვე „მილანში" იყო და, გეხსომებათ, თასის ფინალი სწორედ „მარსელსა" და „მილანს" შორის გაიმართა. ფრანგულმა კლუბმა 1:0 მოიგო და პირველად ქვეყნის საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში დაეუფლა ევროპის უპრესტიჟულეს პრიზს. სწორედ იმ თამაშზე, რომელშიც თავადაც მიიღო მონაწილეობა, ჟან-პიერ პაპენმა თქვა, რომ ტაპის ორი მილანელი მოთამაშე მოქრთამული ჰყავდაო. შეცდენილთა სახელები არ დაუსახელებია. ცხადია, ამ ნათქვამს უზარმაზარი სკანდალი მოჰყვა, მითუფრო, რომ ფრანგის თქმით, ამის შესახებ წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული „მილანის" პრეზიდენტი, აწ უკვე იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი და კლუბის მთავარი დირექტორი ადრიანო გალიანი. ერთია პრესაში რაიმეს განცხადება, მაგრამ სასამართლოში პოზიციის დაცვა სხვაა. საქმე რომ მეტად გაიბერა და სერიოზული სახე მიიღო; ერთ-ერთ იტალიურ საინფორმაციო სააგენტოს პაპენმა ტელეფონით უთხრა, დანამდვილებით არაფერი მითქვამს. უბრალოდ, რაც ჭორად ვიცოდი, ის გავიმეორეო. რაც შეეხება სილვიო ბერლუსკონის წინასწარ გაფრთხილებას, ამაზე ფეხბურთელმა საერთოდ გაჩუმება არჩია.

უეფამ, რომელიც ტაპის საქმეებს იმთავითვე გალდასმით ჩხრეკდა, პაპენი 20 აგვისტომდე სადისციპლინო კომისიის სხდომაზე დაიბარა. მას ბრალდების დამტკიცება მოუწევს. კედელთან მიყენებულმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ თავისი ვექილის პოლ ლომბარის მეშვეობით იგი საკუთარ ღირსებას ნებისმიერ დონეზე დაიცავს.

ამასობაში კი, გეგონება, პაპენის ბრალდება არ ეყოფოდაო, ფრანგულმა გაზეთმა „ლე მონდმა" გამოაქვეყნა ვილაც ხორვატის ლუბომირ ბარინის მტკიცება, რომ მან ათენში, 1989 წელს თასების თასზე აეკ-ისა და „მარსელის" მატჩის წინ ბერნარ ტაპის დავალებით მოქრთამა თავისი მეგობარი და იმ შეხვედრის არბიტრი ჰელმუტ კოლი, რისი წყალობითაც „მარსელი" შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ამბობენ, ტაპის ციხეში მწარედ გასცინებია და უთქვამს, ჩვენ მსოფლიოს უძლიერესი კლუბი გვყავდა და ვილაცეების მოსყიდვა არაფრად გვჭირდებოდაო.

პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელი რომან კოსეცკი მადრიდის „ატლეტიკოდან" გადავიდა „ნანტში", რომელთანაც ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კოსეცკის „ნანტამდე" ოთხი გუნდი აქვს გამოცვლილი: „ლეგია" – 1989-91 წლებში, „გალათასარაი" – 1991-92, „ოსასუნა" – 1992-93, „ატლეტიკო" – 1993-95. ბოლო გუნდში მან 59 თამაში ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა.

თურქებმა ჩემპიონატი დაიწყეს. პირველ ტურში „ისტანბულსფორმა" შინ წააგო „ესკიშეჰირსფორთან" 1:3, ფენერბაჰჩე — კარშიაკა — 4:0, გენჩერბირლიგი — ქოჩაელისფორი 1:1, ტრაბზონსფორი — ანკარაგიუჩიუ 3:1, სამსუნსფორი — გაზიანთებსფორი 1:0, ანტალიასფორი — ბურსასფორი 4:2, კაიზერსფორი — ბეშიქთაში 1:1, ალთაი — დენიზილსფორი 1:2, ვანსფორი — გალათასარაი 0:1.

ჰოლანდიის „ფეინოორდმა" ამხანაგურ მატჩში დაამარცხა „ჩელსი" 1:0, სადაც, როგორც გახსოვთ, ფეინოორდელთა თანამემამულე რუუდ გულიტი გამოდის. „აიაქსმა" „ლაციოს" მოუგო — 5:0. ინტერი — ეინდჰოვენი 0:0 (4:2 პ), ტორინო — ნოტინგემ ფორესტი 1:2, სპორტინგი (ლისაბონი) — სევილია 1:0, არსენალი — ინტერი 0:0, ბენფიკა — მილანი 2:1.

ლიტვის ნაკრების მეკარე გინტერას სტაუჩე, რომელიც ჯერ მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდა, აქედან კი თურქეთის „გალათასარაიში" გადავიდა, ახლა იმავე თურქეთის „კარშიაკას" კარში ჩადგა.

ბრაზილიის ნაკრები აზიაში მართავს ამხანაგურ შეხვედრებს. ჯერ მსოფლიოს ჩემპიონმა ტოკიოში იაპონიასთან ითამაშა და 5:1 მოიგო, აქედან კი სამხრეთ კორეას მიაშურა, სადაც სეულში მასპინძელთა ნაკრებს 1:0 სძლია.

გერმანიის ნაკრები სავსებით დარწმუნებულია, რომ ევროპის მეშვიდე შესარჩევ ჯგუფს უპრობლემოდ გაივლის და საბოლოოდ ინგლისში ფინალურ ეტაპზე გასასვლელ საგზურს მოიპოვებს. აქედან ჩანს, რომ მას საქართველო კონკურენტად არ მიაჩნია. ასეა თუ ისე, ბერტი ფოგტსის გუნდმა გაისად 29 მაისისთვის ბელფასტში ჩრდილო ირლანდიელებთან დანიშნა ამხანაგური თამაში, 1 ივნისს კი შინ ფრანგები დაპატიჟა. საინტერესოა, რომ მზადების კალენდარში, 21 მაისს, ფოგტსმა შეიტანა სახელგანთქმული რუდი ფიოლერის გამოსათხოვარი მატჩი, სადაც სამგზის მსოფლიოს ჩემპიონთა წინაალმდეგ ფიოლერის მეგობართა გუნდი წარდგება. გერმანელებისთვის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების ნება ჯერ არავის მიუცია, მაგრამ ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა უკვე გამოაქვეყნა იმ ქალაქების სია, სადაც გაიმართება თამაშები 11 წლის შემდეგ.

შვეიცარიაში მეხუთე ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში „ლუცერნმა" მოუგო „ქსამაქსს" 3:2.

## ფეხბურთის რუკასთან



ჰოლანდიის პირველი ტური: ჰერენვეენი — ვილემ II 1:0, ვიტესი — ვაალვაიკი 1:1, აიაქსი — ტვენტე 3:1, დორდრეხტი — ვოლენდამი 5:1, როდა — ფეინოორდი 5:0, სპარტა — მაასტრიხტი 2:2, გოუ ეჰედ იგლზი — უტრეხტი 2:4, ნაიმეგენი — გრონინგენი 2:1, ეინდჰოვენი — ბრედა 2:4.

კოლუმბიელი ფრედი რინკონი „ნაპოლიდან" მადრიდის „რეალში" გადავიდა. მადრიდელთა შორის იგი სამ წელიწადს გაატარებს. ფრანგი ზანგი ბაზილ ბოლი კი, რომელიც ბოლო დროს „გლაზგო რეინჯერსში" გამოდიოდა, ორი წლით „მონაკოს" შეუერთდა.

ბელგიელებმა გაარკვიეს, ვინ არის მეოცე საუკუნის ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელი. გამოკითხვამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის მუშაკები, მსაჯები და გულშემატკივრები, 1403 ქულით პირველ ადგილზე გაიყვანა პოლ ვან ჰიმსტი, რომელიც დღეს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს უდგას სათავეში. მეორე ადგილზე გავიდა „ანდერლეხტის" მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფორვარდი იან კულემანსი — 1130 ქულა.

დანიის ნაკრების მწვრთნელი რიჩარდ მიოლერ ნილსენი, რომლის ბიჭები ზვალ ერევანში სომხეთის ნაკრებს ეთამაშებიან, კონტრაქტის ვადის გასვლამდე არსად აპირებს წასვლას. მიოლერ ნილსენი, ხელშეკრულების თანახმად, თანამდებობიდან გაისად გათავისუფლდება, ასე რომ, ევროპის ჩემპიონ მწვრთნელს წასვლის წინ შეუძლია მიღწევა გაიმეოროს.

გერმანული კლუბი მიუნხენის „ბაიერნი" ფიფას კანონების თანახმად ვალდებული იყო ტრანსფერის თანხა ჯერ იურგენ კლინსმანთან შეეთანხმებინა და მხოლოდ ამის შემდეგ მის ინგლისურ კლუბ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან". ბავარიელთა ხელმძღვანელობა პირიქით მოიქცა, რისთვისაც, როგორც ჩანს, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციისგან სასჯელს მიიღებს. სასჯელის სახეობა ჯერ უცნობია. რაც შეეხება ეროვნული ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის მათიას ზამერის მამას, კომუნისტების დროს დრეზდენის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს, იგი ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა აღმოსავლეთ გერმანიაში ფეხბურთის განვითარების კოორდინატორად დანიშნა.

აშშ-ის ნაკრების თავდამსხმელს როი ლესიტერს 1992 წელს ორ ძმაკაცთან ერთად საიუველირო მაღაზია გაუძარცვავს. პოლიციამ ეს ამბავი ახლა გამოავლინა და ფეხბურთელს დაადგა კიდეც. ლესიტერის ვექილს დეზმონდ არმსტრონგს იმედი აქვს, რომ მართლმსაჯულება მის კლიენტს ზვალ შვეიცარიელებთან ამხანაგურ თამაშში მონაწილეობის ნებას მაინც მისცემს.

ესპანელი ვეტერანი ვარსკვლავი ემილიო ბუტრაგენიო „რეალს" გამოემშვიდობა თუ არა, მის შესახებ ათასი ხმა დაირხა. „სარბიელიც" წერდა მისი აქეთ-იქით სავარაუდო გადასვლების ამბავს. ახლა კი გაირკვა, რომ თავდამსხმელი ორი წლით, წელიწადში მილიონ დოლარად მექსიკის „ატლეტიკო სელაიაში" გადასულა. ახალი პატრონები ფეხბურთელს სახლს და ორ მანქანასაც დაპირდნენ.

იტალიის „ინტერი" ჩქარობს. მას „მანჩესტერ იუნაიტედისგან" ფრანგი ერიკ კანტონას ყიდვა უნდა, მაგრამ საამისოდ მხოლოდ ერთ კვირალა დარჩა. იტალიური კანონებით, უფრო გვიან იქაურ კლუბებს უცხოელის ყიდვის უფლება აღარ ექნებათ. თავის მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედიც" დაინტერესებულია, რომ ფრანგი ვარსკვლავი თავისთან დაიტოვოს. ჯერ ერთი, კანტონა რომც დათანხმდეს, იტალიელები მასთან ხელშეკრულებას ნოემბრამდე ვერ დადებენ, მეორეც, ინგლისური გუნდის მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ერიკთან პარიზში ჩავიდა და მანჩესტერში დასარჩენად „ფსიქოთერაპიის სეანსი" ჩაუტარა.

სამხრეთ აფრიკაში რაგბისთან ერთად შიგდაშიგ ფეხბურთსაც თამაშობენ. ყოველ შემთხვევაში, იოჰანესბურგის სტადიონ „ელისზე" ტრიბუნა ფეხბურთის დროს ჩაინგრა, რის გამოც თხუთმეტი ადამიანი საავადმყოფოში აღმოჩნდა. საბედნიეროდ, არავინ მომკვდარა.

ესპანურმა კლუბმა „სარაგოსამ" გადაიბირა 26 წლის არგენტინელი ნახევარმცველი სერხიო ბერტი, რომელიც ამ კლუბში მის თანამემამულე კასერესთან და ურუგვაელ პოიეტთან ერთად მესამე ლეგიონერი იქნება.

გერმანიაში ჩემპიონატი დაიწყო. ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ" უმასპინძლა „კაიზერსლაუტერნს". პირველი გოლი ახალ გუნდში 72-ე წუთზე ჰაიკო ჰერლიხმა გაიტანა, მაგრამ 74-ეზე ვაგნერმა წონასწორობა აღადგინა — 1:1. სხვა თამაშები: შტუტგარტი — ურდინგენი 8:0, ვერდერი — დიუსელდორფი 1:1, კიოლნი — შალკე 04 0:1, ბაიერნი — ჰამბურგი 3:2, აინტრახტი — კარლსრუე 2:2, ზანკტ-პაული — მიუნხენი 4:2, ჰანზა — ლევერკუზენი 1:2, მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი 1:0.

# მილანელის ქორწინება



180 სტუმარი, მათ შორის თანაგუნდელი მეგობრები სორდო, პანუჩი და სიმონე, ჯვრისწერა ტურინის იესოს ეკლესიაში, შემდეგ ვახშამი, თამაშები და მეჯლისი — ასეთი გახლდათ „მილანის" მოთამაშის ჯანლუიჯი ლენტინის ქორწილი. ლენტინი ბოლო წლებში ტრავმებმა გატანჯა, რის გამოც ბევრიც გაუცდა და ძველებური ბრწყინვალებაც დაკარგა, მაგრამ, როგორც ჩანს, დრო უქმად არ დაუკარგავს. ქორწილის შემდეგ ნეფე და დედოფალი — 22 წლის შვედი მოდელი ალექსანდრა კარლსონი თაფლობის თვეზე კარიბში გაემგზავრნენ.

## ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი

„ა" ჯგუფი

ეკვადორი — იაპონია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ეკვადორი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| იაპონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

„ბ" ჯგუფი

პორტუგალია — კოსტა-რიკა 3:0

არგენტინა — გვინეა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| კოსტა-რიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| გვინეა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |

„გ" ჯგუფი

ბრაზილია — კანადა 2:0

ომანი — გერმანია 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ომანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| გერმანია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

„დ" ჯგუფი

ყატარი — ავსტრალია 0:3

ნიგერია — ესპანეთი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ყატარი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

მეოთხედფინალები:

განა — პორტუგალია 2:0

ომანი — ნიგერია 1:2

ბრაზილია — ავსტრალია 3:1

არგენტინა — ეკვადორი 3:1

ნახევარფინალში 17 აგვისტოს შეხვდებიან განა — ნიგერია და ბრაზილია — არგენტინა

შევიძენ ნახმარ, მუშა მდგომარეობაში მყოფ საბჭოური წარმოების მაცივარს.
ტელ.: 93-16-08
დღის 10 სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე გარდა შაბათისა. იკითხეთ სანდრო

# კოსმიური მილანი




მიმდინარე სატრანსფერო სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, უმრავლესობის აზრით, ევროპისა და მსოფლიოს 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელის რობერტო ბაჯოს „იუვენტუსიდან" „მილანში" გადასვლა იყო. „მილანს", რომელსაც ჩემპიონთა თასის ფინალში დამარცხების მიუხედავად მაინც მსოფლიოს უძლიერეს კლუბად მიიჩნევენ, მოგეხსენებათ, „პარი სენ ჟერმენიდან" ჟორჟ ვეაც შეემატა და ახლა თუ რამ გარეგანმა არ აურია საქმე და მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ახალი სუპერვარსკლავები გუნდის მექანიზმს კარგად მოარგო (ან გუნდის მექანიზმი მოარგო მათ), „მილანი" მართლაც კოსმიურ გუნდად შეიძლება იქცეს. ზოგი მიმომხილველის აზრით, მომავალ სეზონში „მილანის" ძირითადი შემადგენლობა სწორედ ისეთი იქნება, სქემაზე რომ ხედავთ, თუმცა, შესაძლოა, აქაც ბევრი რამ საკამათო იყოს — ამ სქემაში ხომ არსადაა ბოლო წლებში გუნდის ერთ-ერთი საყრდენი მოთამაშე მარსელ დესაი. ნუთუ კაპელო ასე ადვილად შეელევა მას? ფაბიო კაპელოს და რობერტო ბაჯოს, გარდა იმისა, რომ დღეს ერთ კლუბში მუშაობენ, კიდევ ერთი რამ აერთიანებთ: ორივენი იმ ექვს ფეხბურთელს შორის არიან, ომის შემდგომ, დღევანდლამდე „იუვენტუსიდან" „მილანში" რომ გადავიდნენ და, რაკიღა სიტყვამ მოიტანა, ბარემ ის ხუთეულიც ჩამოვთვალოთ, ბაჯომდე ეს „მარშრუტი" რომ გაიარა.

| მოთამაშე | გადასვლის სეზონი | იუვენტუსში | მილანში |
|---|---|---|---|
| ალბერტო პიჩინინი | 1953-54 | 104 თამაში<br>2 გოლი<br>2 ჩემპიონობა | 19 თამაში |
| ედუარდო რიკანი | 1954-55 | 24 თამაში<br>17 გოლი | 26 თამაში<br>6 გოლი<br>1 ჩემპიონობა |
| ბრუნო მორა | 1961-62 | 54 თამაში<br>17 გოლი<br>1 ჩემპიონობა | 24 თამაში<br>5 გოლი |
| ფაბიო კაპელო | 1976-77 | 165 თამაში<br>27 გოლი<br>3 ჩემპიონობა | 26 თამაში<br>1 გოლი |
| პაოლო როსი | 1985-86 | 83 თამაში<br>24 გოლი<br>2 ჩემპიონობა | 20 თამაში<br>2 გოლი |



ფაბიო კაპელო ოცი წლის წინ

# ავსტრალიური ცარცის წრე

## წინა კვირის მსოფლიო რაგბის დღიური მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც ამჟამად მსოფლიო რაგბში ხდება, სპორტის სხვა სახეობებში^ან უკვე მომხდარა, ან ოდესმე მოხდება, ანაც — არასოდეს. უმაღლესი დონის რაგბი ისეთ გზაჯვარედინსაა მიმდგარი, რომ ვისაც ამ თამაშისთვის კარგი სურს, უნდა ილოცოს, მსოფლიო სარაგბო თემი ერთობ დიდმა სარფმა რამდენიმე ნაწილად რომ არ დახლიჩოს.

საქმე ისაა, რომ რაგბის მმართველი ფენა ერთობ ჩამორჩა თამაშის განვითარებას. რაც მსოფლიო თასი დაწესდა, რაგბმა დიდძალი ფული მიიზიდა. წარმოუდგენლად გაიზარდა ცნობილ მოთამაშეთა დატვირთვა. ცხადზე ცხადია, რომ ფრიად დონეზე სათამაშოდ იმდენი ვარჯიშია საჭირო, რომ ამგვარად მოვარჯიშე და მოასპარეზე მოყვარული ვეღარ იქნება და სარჩოს სხვა საქმიანობით ვეღარ მოიპოვებს. მოთამაშეთა ამ კასტას სურვილიც გაუჩნდა, რომ მისი ნიჭით მოხვეჭილი ფულის რიგიანი წილიც მიიღოს. მაგრამ დახეთ უბედურებას: მსოფლიო რაგბის ხანშიშესულ მამებს ერთობ აშინებთ პროფესიონალიზმის, კონტრაქტის, ჯამაგირის, პრემიის, ტრანსფერის ხსენებაც კი და ბოლო წლებია სულ იმის ცდაში არიან, რაგბის პროფესიულად ცნობა როგორმე რომ გააჯანჯლონ, რაც თავად მორაგბეთა უკმაყოფილებას იწვევს.

ამით სარგებლობენ გარეშე ძალები. აქამდე მსოფლიო რაგბს ერთადერთი მძარცველი — ცამეტკაციანი ლიგის რაგბი ჰყავდა შეჩენილი, რომელიც ასი წელია, რაც პროფესიული თამაშია და თავის დროზე სწორედ რომ ფულის გამო გამოეყო რაგბს: წელს თავად ლიგის რაგბში მოხდა დიდი გადატრიალება: კალათბურთის ნბასა და ყინულის ჰოკეის ნჰლ-ის ანალოგ ავსტრალიის რაგბის ლიგას გამოუჩნდა კონკურენტი — სუპერ-ლიგა, რომელიც ავსტრალიური მედიის ბარონმა რუპერტ მერდოქმა დააფინანსა და რომელმაც არა მარტო ძველი ლიგის, არამედ თვით რაგბის საუკეთესო კადრებსაც დაადგა თვალი.

მსოფლიო „სამოყვარულო" რაგბი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მადლობა ღმერთს, მსოფლიო რაგბის მამების, ე.წ. „ბებერი მუცლის ქარების" წრეშიც მრავლად აღმოჩნდნენ მოაზროვნე და თამამი მოღვაწეები, რომლებიც ვერ ურიგდებიან კოლეგების ფარისევლობას და სულაც არ მიაჩნიათ ტრაგედიად, თუ მსოფლიო რაგბის ვარსკვლავთა ფენა გაპროფესიონალდება. ამ მამათაგან ყველაზე კადნიერი, ტრანსვაალისა და სამხრეთაფრიკის რაგბის კავშირების პრეზიდენტი, მილიონერი, დოქტორი ლუი ლეიტი მსოფლიო თასის ფინალის კვირაძალს ეახლა რუპერტ მერდოქს და ჩვეულებრივი რაგბის მხარდასაჭერად წამოწყებათა ისეთი პაკეტი შესთავაზა, რომ მერდოქი მყის დაყაბულდა. ამ საარაკო გარიგების შედეგად ყოველწლიურად გაიმართება სამხრეთი ნახევარსფეროს სამი ბობოლა ქვეყნისა და 12 ბობოლა პროვინციის ჩემპიონატები, რომელთა ტელერეპორტაჟების უფლების გაყიდვაც მერდოქის მედიის იმპერიის ხელში იქნება.

ამ გარიგების გამოქვეყნებით ლიგის რაგბის მიერ მორაგბეთა გადაბირების საფრთხე თავიდან იქნა აცილებული, რადგანაც ცხადია, რომ მერდოქის ფულით ახალ შეჯიბრებათა მონაწილეებიც გვარიანად დასაჩუქრდებიან, მაგრამ უმალ გამოჩნდა კონტრ-წამოწყებაც, რომლის სულისჩამდგმელი მერდოქის მეტოქე, ასევე ავსტრალიელი ქერი პეკერია, ვისაც დიდი წილი ედო მერდოქის მიერ შევიწროებულ ავსტრალიის რაგბის ლიგაში. ბატონმა პეკერმა მარჯვედ ისარგებლა იმითი, მთელს მსოფლიოში მოთამაშეები რაგბის მამებს მოყვარულობის თავგამოდებით დაცვის გამო რომ ემდურიან, და მათი ამბოხება მოინდომა: შეპირდა ერთბაშად ცხრა მოწინავე ქვეყნის ათასამდე საუკეთესო მოთამაშეს, თუ ჩემს „მსოფლიო რაგბის კორპორაციაში" გადმოხვალთ, მეტად დაგასაჩუქრებთო.

ახლა ხშირად კითხულობენ, ვინაა მართალი — მერდოქი თუ პეკერი, ანაც რომელი წამოწყება მეტ სიკეთეს მოუტანს რაგბს. ჩვენი აზრით, სიმართლე მერდოქის მხარესაა: მას რაგბში (და არა ლიგის რაგბში) ულირსი არაფერი ჩაუდენია; არსებულმა, აღიარებულმა სტრუქტურამ ახალი, უკეთესი შეჯიბრის დაფინანსება შესთავაზა და ისიც სიამოვნებით დათანხმდა, რაკი ეს შეჯიბრება მართლაც უნიკალური იქნება — მისი სამივე მონაწილე ხომ მსოფლიო თასის თითოგზის მფლობელია!

პეკერის საქმე სხვაგვარადაა. მის სასიკეთოდ მხოლოდ ის თუ მეტყველებს, რომ სამი სამხრეთელი ბობოლის ნაცვლად თითქმის მთელს მსოფლიოს ეხმარება, მაგრამ ეს წამოწყება ძირშივე უზნეოა იმით, რომ საუკუნოვან სარაგბო ესტაბლიშმენტს ხელის ერთი დაკვრით უპირებს მოსპობას და თავად მოთამაშეებს აქეზებს, თქვენსავე რაგბის კავშირებს უგანეთო. არადა, მორაგბეები როგორც უნდა ემდუროდნენ თავიანთ რაგბის მამებს, არა გვგონია, ელემენტარულ პატრიოტიზმს მოკლებული იყვნენ, თავიანთი კლუბები, ქალაქები, პროვინციები არაფრად მიაჩნდეთ და მზად იყვნენ, ოდენ გასამრჯელოს გულისთვის ჩაეწერონ რაღაც ცირკში, რომელსაც არც მსოფლიო თასთან, არც ტურნეებთან და არც ცნობილ შინაურ შეჯიბრებებთან საერთო არაფერი ექნება.

მტყუან-მართალს მერმისი გაარჩევს, წინა კვირაში კი გაგრძელდა მერდოქ—პეკერის ომი რაგბის ნაღების გადასაბირებლად.











1. ჯეისონ ლითლმა და 3. ჯეფ ვილსონმა ტრადიციებს უერთგულეს
2. პიტა ფატიალოფას სამოური რაგბის მომავლისა სჯერა
4. ჯიმ ტელფერს სქოთებმა სამმაგი საპალნე აჰკიდეს
5. ბრაიან მურმა გასცა თანაგუნდელები

### ორშაბათი, 7 აგვისტო

მას შემდეგ, რაც წინა პარასკევს სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირმა ნაკრების წევრების — „ქურციკების" მხარდაჭერა დაიბევა, შაბათს კი „რაგბის კორპორაციამ" ქეიფთაუნის უმაღლეს სასამართლოს მიაღებინა განჩინება, რომელიც რაგბის კავშირს 10 აგვისტომდე უკრძალავდა იმ მოთამაშეთა გადაბირებას, რომლებიც ვითომდაც „კორპორაციას" მიემხრნენ, ცხადი შეიქნა, რომ საშინაო ქარრის თასის მოთამაშენი ორ ბანაკად გაიყვნენ: იმათ, ვინც მხოლოდ პროვინციათა ნაკრებებში ირიცხებიან, პეკერის წინადადება უფრო სარფიანი ჰგონებიათ, რის გამოც „ქურციკებს" შემოსწყრომიან და დაუბრალებიათ, რაგბის კავშირის მიმხრობით გაგვყიდესო. შეიქნა კურიოზული ვითარება: ამ დღის ძალთა თანაფარდობით ახალი ზელანდია, საფრანგეთი, შოტლანდია, უელსი და ირლანდია პეკერის მხარეზე იყვნენ, რისი წყალობითაც რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) ეგიდით გაისად საუკეთესო შემადგენლობებით მხოლოდ სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია და ინგლისი თუ შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ამავე დღეს შოტლანდიის რაგბის კავშირმა კიდევ ორი თანამდებობა უბოძა ცნობილ მოძღვარ ჯიმ ტელფერს, ვინაც სქოთებს 1984 წელს დიდი სლემი მოაპოვებინა. თუ ტელფერი აქამდე მხოლოდ სარაგბო საქმეთა დირექტორი იყო, ამიერიდან ქვეყნის მწვრთნელთა თავკაცი და ნაკრების შემრჩეველთა თავმჯდომარეც იქნება.

### სამშაბათი, 8 აგვისტო

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი ოქლენდში ეთათბირა „ოლ ბლექსის" რვა წევრს, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია კონტრაქტის ხელის მოსაწერად, რამაც მეტად შეუწყო ხელი ჭორების გავრცელებას, ეტყობა, ნაკრების წევრებს უკვე გაუფორმებიათ ხელშეკრულება პეკერის „კორპორაციასთან", მაგრამ ჯერ არ ამხელენო.

### ოთხშაბათი, 9 აგვისტო

ავსტრალიის რაგბის კავშირს სამწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი ნაკრებისა და ქვინზლენდის 25 წლის შუამარბმა ჯეისონ ლითლმა, რომელიც ლამისაა მსოფლიოს საუკეთესო 13 ნომრადაა მიჩნეული და ვისაც ლიგის რაგბში წელიწადში მილიონ დოლარს (!) ჰპირდებოდნენ. ლითლმა აღიარა, გული ცოტა კი მეთანაღრება, მაგრამ ჩემთვის ტრადიციის ერთგულება ფულზე უფრო მნიშვნელოვანიაო. მანამდე „ვოლაბების" 8 ნომერ თიმ გევინს უკვე დაედასტურებინა ერთგულება თავისი კავშირისადმი.

საჯარო განცხადება გააკეთა ირლანდიის ნაკრებმა. „სამყურებმა" უარყვეს საგაზეთო ჭორები და ქვეყანას ამცნეს, რომ მათგან ჯერ არავინ მიმხრობია პეკერის „კორპორაციას".

ერთობ საგულისხმო ვარაუდი გამოთქვა მანუ სამოას რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ალან გრეიმ: ცალკე მერდოქისა და ცალკე პეკერის როგორც რაგბის, ასევე ლიგის რაგბის სტრუქტურები იმდენი მოთამაშის წაგვრას გვემუქრებიან, რომ შეიძლება ხალხი აღარ გვეყოს ნაკრების შესაგროვებლად, ამ შემოდგომით ინგლისსა და შოტლანდიაში სატურნეოდ რომ უნდა ჩავიყვანოთო. თითქოს აიოლუპოსა და სინის დაკარგვა არა კმაროდა, ლიგის რაგბში გადასულა მცველი მაიქლ უმაგაც, რომელმაც მსოფლიო თასზე იმით გამოიჩინა თავი, რომ მეოთხედფინალში ერთბაშად ორი სამხრეთაფრიკელი დაამტვრია, მაგრამ მსაჯს არ გაუქვევია. გრეის არ დაეთანხმა ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ბურჯი პიტა ფატიალოფა: სამოაზე ნიჭიერი მოთამაშე მრავლადა გვყავს, ნაკრებსაც მათი მეშვეობით შევავსებთ, ხოლო კადრების ძასოიოივ გადინებას ამ შემოდგომით კი არა, გაისად უნდა ველოდოთ, როცა ახალი შეჯიბრებები დაიწყებაო.

### ხუთშაბათი, 10 აგვისტო

ქეიფთაუნის სასამართლომ 24 საათით გადადო „კორპორაციის" საჩივრის ხელახალი განხილვა.

ზელანდიის რაგბის კავშირმა ნავსი გატეხა: კონტრაქტები დაუდო ნაკრების ორ ნორჩ ვარსკვლავს — გარემარბ ჯეფ ვილსონსა და ფრთის მორკინალს, ხოტორა ჯოშ კრონფელდს.

გაირკვა, რომ ავსტრალიის ნაკრების სხვა მოთამაშეები კიდევ ორ კვირას იფიქრებენ, ვიდრე გევინსა და ლითლს მიბაძავენ. ამასობაში პარიზში გაიმართება ირბის საგანგებო სხდომა, მოყვარულობის კანონები ძირფესვიანად რომ უნდა გადასინჯოს.

### პარასკევი, 11 აგვისტო

ქეიფთაუნის სასამართლომ უარყო პეკერის „კორპორაციის" მოთხოვნა, რაგბის კავშირი ჩვენი ერთგული სამხრეთაფრიკელი მოთამაშეების გადაბირებას ნუ ცდილობსო. უარის საბაბი ერთობ ორიგინალური იყო, აქაოდა მართლმსაჯულებას სხვა უფრო სერიოზული საქმეებიც აქვს გასარჩევი, თქვენმა ვექილებმა კი ვერ დაგვიმტკიცეს, რომ სასწრაფო განჩინებაა საჭიროო. „კორპორაციას" დაევალა, რომ სასამართლოში მიყვანის ხარჯი უზღოს რაგბის კავშირს. ამისმა მთავარმა აღმასრულებელმა ედუარდ გრიფითმა შვებით ამოისუნთქა, თუმც საქმე ჯერაც არ დახურულა და კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება, მით უფრო, რომ „კორპორაციის" დირექტორი როს თერნბელი იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ სასამართლოს აცნობინებს წინასწარ კონტრაქტებს, ვითომდაც 129 აფრიკელ მოთამაშესთან რომ გაუფორმებია. მთავარია, უთქვამს თერნბელს, რომ რაგბის კავშირი ვეღარ დაგვიშინებს „ჩვენს მოთამაშეებს" და კონტრაქტებზე ხელს ვეღარ აღებინებსო.

„კორპორაციას" საქმე უარესადაც წასვლია. მსაჯულ დენის ფანრინენს ეჭვი შეუტანია მისი კონტრაქტების კანონიერებაში, რის გასაბათილებლადაც თერნბელის ვექილებს ფაქტიურად ვერავითარი იურიდიული საბუთი ვერ წარუდგენიათ.

### შაბათი, 12 აგვისტო

**ქარრის თასის მეხუთე ტურის შემდეგ ერთბაშად სამი გუნდი დანინაურდა.**

ჩრდ. ტრანსვაალი 31 — დას. კონცხი 13; ნარინჯი 19 — აღმ. კონცხი 19; ნატალი 27 — ტრანსვაალი 24

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნატალი | 4 | 3 | 0 | 1 | 107:099 | 6 |
| ჩრდ.ტრანსვაალი | 5 | 3 | 0 | 2 | 120:074 | 6 |
| ტრანსვაალი | 5 | 3 | 0 | 2 | 128:121 | 6 |
| დას.კონცხი | 4 | 2 | 0 | 2 | 098:086 | 4 |
| აღმ.კონცხი | 4 | 1 | 1 | 2 | 059:092 | 3 |
| ნარინჯი | 4 | 0 | 1 | 3 | 075:125 | 1 |

შემდეგი ტური, 19.VIII: დას. კონცხი — ნარინჯი, აღმ. კონცხი — ნატალი

მთავარი თამაში მოეწყო დურბანის „კინგზ პარკზე", სადაც მასპინძელი ნატალი, ვისაც ისევ თავკაცობს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იენ მაკინტოში, მეორე ნახევრის დაწყების მერე 17:0 უგებდა ლიდერსა და შარშანდელ ჩემპიონ ტრანსვაალს. ლელოები მეორეხაზელ აფერთონსა და გარემარბ კაბუს ფანდერვესტჰოიზენს გაეტანათ.

ტრანსვაალმა მაგრად შეუტია და კვაჭ ჯეიმზ დოლტონის, გარემარბ იან ფანდერვოლტისა და შუამარბ იაპი მულდერის ლელოებით ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ 70-ე წუთზე იმავე ფანდერვესტჰოიზენმა გადამწყვეტი ლელო გაიტანა და გაამარჯვებინა.

უფრო ცნობილი ფანდერვესტჰოიზენის — ნაკრების 9 ნომერი იუსტის ჩრდ. ტრანსვაალმა შინ, პრეტორიის „ლოფტუს ფერსფელდზე" დაამარცხა ნაკრების 10 ნომრის, ჯოელი სტრანსკის დას. კონცხი. მასპინძლებს დარტყმებით 16 ქულა შესძინა 10 ნომერმა ლანს შერელმა, ლელოები კი კვაჭმა ჰენრი ტრომპმა, მცველმა თიო ფანრენსბერგმა და ფრთის მორკინალმა რუბენ კრუგერმა გაიტანეს.

ბლუმფონტეინის „სპრინგბოქ პარკზე" მასპინძელი ნარინჯი აგებდა აღმ. კონცხთან, მაგრამ 10 ნომერმა ერიკ ჰერბერტმა ბოლო წუთზე გატანილი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა.

### კვირა, 13 აგვისტო

ინგლისის ნაკრების კვაჭმა ბრაიან მურმა გასცა თანაგუნდელები, უმეტესობას პეკერის გეგმა ძალიანაც მოსწონს და წინასწარ კონტრაქტზე ხელის მოწერას ფიქრობსო. მურის აზრით, „კორპორაციას" ინგლისის რაგბის კავშირთან ორი უპირატესობა ჰქონია: ერთი, რომ მოთამაშეებს ბევრად მეტ ფულს ჰპირდება; და მეორეც, მისი შეჯიბრი უფრო მიმზიდველი ჩანს, ვინაიდან სამხრეთი ნახევარსფეროსგან განსხვავებით ბრიტანეთში მოკლებულნი არიან პროვინციათა შეჯიბრებებს, ამ რგოლის გარეშე კი ჩრდილოეთი თამაშის დონით ვერ ეწევა სამხრეთს. მურის თქმით, ერთობ სამწუხარო იქნება, თუ პეკერის მიერ შეთავაზებულ შანსს ბრიტანეთი ვერ გამოიყენებს.

გუშინწინ, უეცრად გარდაიცვალა თბილისელი კაცი, ძველი დინამოელი, ცნობილი რაგბის მსაჯი და ახალგაზრდობის დიდი ქომაგი ბატონი

**გოგი გუდაძე**

# უცხოური სპორტის სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „სარბიელის" ყოველთვიური დამატება-დაიჯესტი № 2 აგვისტო, 1995 ფასი 1500 მან ან ფარდი კუპ

უკვე გაყიდვაშია «სარბიელის» ყოველთვიური დამატება-დაიჯესტის მეორე გამოშვება, სადაც სპორტის მოყვარულთ ინგლისური, ესპანური, ფრანგული, გერმანული ამერიკული და თვით სამხრეთაფრიკული ჟურნალ-გაზეთებიდან ნათარგმანევი წერილები მოვუმზადეთ

ნუ დატოვებთ წაუკითხავს, ყოველი მომდევნო ნომერი წინაზე საინტერესო იქნება!




მიქაელ ლაუდრუპი ხუთგზის ჩემპიონი



ჯორჯ ბესტი საუკეთესო მამაკაცია!



# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.08 | ლიხტენშტეინი - პორტუგალია | 10,0 | 3,4 | 1,05 |
| 16.08 | საფრანგეთი - პოლონეთი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| | აზერბაიჯანი — სლოვენია | 4,7 | 2,9 | 1,35 |
| | სომხეთი - დანია | 6,5 | 3,0 | 1,2 |
| | ისლანდია - შვეიცარი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| | ესტონეთი - ლიტვა | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | ნორვეგია - ჩეხეთი | 1,5 | 2,8 | 3.8 |
| | ლატვია - ავსტრია | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | შოტლანდია - საბერძნეთი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| | ფინეთი - რუსეთი | 2,8 | 2,6 | 1,8 |

კოპა ლიბერტადორესი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.08 | რივერ პლეიტი - ატლეტიკონასიონალი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | გრემიო - ემელეკი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ოთხშაბათიდან
16.08-დან 1.00-დან 4.00 საათამდე
გერმანია: II ტური
საფრანგეთი: V ტური
ინგლისი: I ტური
რუსეთი XXI ტური
ფსონები გამოქვეყნდება პარასკევს

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვეღარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 14-დან 17 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.




# დიადი დრო შავ ბუმბერაზზე

**მთამსვლელები რვაათასიან მწვერვალებს ორ ჯგუფად ჰყოფენ — „დიდ“ და „პატარა“ რვაათასიანებად. დღეს ამ „დიდთაგან“ ყველაზე „პატარას“ გაგაცნობთ და მასზე პირველასვლებზეც გიამბობთ.**

**ეს „პატარა“ გახლავთ მაკალუ, რომელიც გიგანტურ მწვერვალთა პირველ ხუთეულშია ჯომოლუნგმას, ჩოგორის, კანჩენჯანღასა და ლჰოცზეს შემდეგ.**

**მიუხედავად იმისა, რომ მაკალუ მეტად ლამაზი, ბუმბერაზი და ფრიად შთამბეჭდავია, თანაც იგი მშვენივრად მოსჩანს დარჯილიგიდან, ხოლო დედამიწის უმაღლეს პიკზე მოიერიშენი ხშირად გასცქეროდნენ ამ მწვერვალს და ფიქრზეც ალბეჭდავდნენ, მასზე ასვლა რატომღაც არავის უცდია. არადა, „დიდი ხუთეულიდან“ პირველ სამ მწვერვალზე იერიშების ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია არსებობდა.**

**და აი, 1954 წელს, როგორც იქნა, მაკალუთი ერთბაშად სამი ქვეყნის სამი ექსპედიცია დაინტერესდა და შეესივნენ კიდეც. მაგრამ სანამ მათსა და მაკალუს ჭიდილზე გიამბობთ, ტრადიციისამებრ, ჯერ თავად ეს მწვერვალი გავიცნოთ.**

მაკალუ ჯომოლუნგმადან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და დედამიწის უმაღლეს მწვერვალს 16 კილომეტრითაა დაშორებული. ამ მწვერვალის გრანდიოზული მასივი გარსშემოჯარული ქედებისა და პიკებისგან მკვეთრად გამოირჩევა. განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩევა მასივზე წამომართული ორი შავი მწვერვალი — მთავარი მაკალუ (8481 მ.) და სამხრეთ აღმოსავლეთი მაკალუ (8010 მ.), რომლებიც თითქოს ერთი უშველებელი თეთრი კვარცხლბეკიდან აზიდულან ცად.

სწორედ ასეთი ვიხილეთ მაკალუ, როცა ჰიმალაის ცათამბჯენების გასწვრივ ნეპალის სამეფო ავიაკომპანია „იეტის“ პატარა თვითმფრინავით სამხრეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და უკან ვიფრინეთ.

მთავარი მაკალუს სიმაღლედ ზემოთ 8481 მეტრი გახსენეთ, მაგრამ ალბათ უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, თითქმის 8,5 კილომეტრიაო. საქმე ის გახლავთ, რომ მთამსვლელებსა და გეოგრაფებს მის სიმაღლედ სხვადასხვა ციფრი მოჰყავთ. რუკებზეც ვერ ნახავთ ერთსულოვნებას. ერთგან ეს ციფრი 8471 მეტრია, მეორეგან — 8475, მესამეგან — 8482. სხვა მაჩვენებლებსაც შევხვდებით. რა თქმა უნდა, ეს ყველა ციფრი ზღვის დონიდან იგულისხმება, უფრო სწორად, ინდოეთის ოკეანიდან, კიდევ უფრო ზუსტად, ბენგალის ყურიდან, თუმცა, ეს მაჩვენებელი აგერ, ჩვენი შავი ზღვიდანაც რომ ავიღოთ, მაინც არაფერი შეიცვლება, რაკილა ბავშვმაც იცის, რომ ყველა ზღვისა და ოკეანის დონე ერთი და იგივეა, მაგრამ კარტოგრაფებისა და გეოგრაფების სამარცხვინოდ, მაკალუს სიმაღლეზე დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ამდენი და ამდენი მეტრიაო. თუმცა, ისინი არც იმდენად ცდებიან, რომ ეს ბუმბერაზი იმ „დიდი ხუთეულიდან“ გამოაძევონ და „პატარებში“ „ჩამოალაბორანტონ“.

აი, სამხრეთ-აღმოსავლეთი მაკალუს სიმაღლის აღნიშვნაში კი ყველა ერთსულოვანია.

ზოგი მკვლევარი, მათ შორის მთამსვლელთა ერთი ნაწილიც, ასახელებს კიდევ შუათანა, ცენტრალურ მაკალუს, რომელიც მთავარ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მწვერვალებს შორისაა მოქცეული და მისი სიმაღლე 8000 მეტრია. თუმცა უმრავლესობას მიაჩნია, რომ იგი ძირითადად პიკებს შორის მდებარე ზღუდარის ქედზე უბრალოდ შემაღლებული ადგილია და მისი დამოუკიდებელ მწვერვალად ჩათვლა მიუღებელი და „უკანონოა“.

ბევრი მკვლევარი და მთამსვლელი ამ მასივში შემავალ მწვერვალად ასახელებს მაკალუს უღელტეხილის (7410 მ.) ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მწვერვალს, რომელსაც ხშირად მაკალუს უნაგირასაც უწოდებენ. მაგრამ სხვა მკვლევარები ამ მწვერვალს კანჩუნგს უწოდებენ. ალბათ მეორენი არიან მართალნი, რაკილა ეს პიკი ამავე სახელწოდების მყინვარიდანაა ამომართული და მაკალუსაგან მკვეთრად გამოყოფილად 2 კილომეტრით განზე გამდგარა.

მაკალუს მასივს ოთხი განტოტება აქვს, მათგან სამი თავად მასივის ქედია — დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და აღმოსავლეთისა. აი, მეოთხე კი „ნამდვილი“ განშტოებაა, რომელზეც ჩომოლონზოს (7815 მ.) მასივი შედის. ის დანარჩენი სამი განტოტება კი მასივიდან მკვეთრად ციცაბოდ ეშვება, მათგან დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მყინვარ ბარუნზე, აღმოსავლეთისა კი — მყინვარ მაკალუზე.

მაკალუს მასივის შთამბეჭდაობას აძლიერებს მაკალუ II, რომელიც მთავარი ქედის ჩრდილო-დასავლეთითაა აღმართული. შთამბეჭდავია სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე 6480-მეტრიანი პიკიც, დასავლეთ ქედზე აღმართული 6410 მეტრი სიმაღლის მწვერვალიცა და ჩომოლონზოც.

მაკალუს მასივის რაიონი საკმაოდ გამყინვარებულია. მისი სამხრეთ-დასავლეთის ფერდობებიდან ბარუნის მყინვარი ჩამოდის. ჩრდილოეთით ჩომოლონზოს დიდი მყინვარი კანჩუნგისას იერთებს; აღმოსავლეთის ფერდობებიდან, მდინარე არუნის მხარეს მაკალუს ფართო მყინვარია.

ბუმბერაზი მაკალუ მეტად ლამაზიაო, ვამბობთ, მაგრამ მაინც გოროზად და უკარებად გამოიყურება, რაკილა გრანდიოზულობასთან ერთად მისი ზედა ნაწილი ლამის მთლად ჩაშავებულია. ჩაშავებული კი იმიტომაა, რომ მისი კლდოვანი ფერდობები ძალზე ციცაბოა და მასზე თოვლი ფეხს ვერ იკიდებს.

მაკალუს მისადგომებთან ადიან მდინარე არუნის ან ბარუნის ხეობიდან, საიდანაც ამავე სახელწოდების უღელტეხილიდან იმჯის მყინვარის მხარეს შეიძლება გადასვლა და მწვერვალის ძირში მისვლა.

***

ამ მწვერვალის სახელში ხეირიანად დღემდე ვერავინ გარკვეულა. ტიბეტურ ლიტერატურაში ეს სიტყვა ითარგმნება როგორც „შავი ბუმბერაზი“, რაც ყველაზე მიღებულ თარგმანად ითვლება. ამასთან, ეს სახელი ზუსტად შეეფერება მაკალუს.

მაკალუს სახელის ერთ-ერთი მკვლევარი პ. ვიტოხი ფიქრობს, რომ ამ მწვერვალის სახელწოდება წარმომდგარა ინდოელთა ღმერთ შივას დამახინჯებულ სანსკრიტულ სახელიდან მაჰა-კალა-დან, რაც ასე უნდა ითარგმნოს — „დიადი დრო“.

გიუნტერ ოსკარ დირენფურტს — ცნობილ მთამსვლელსა და ჰიმალაის დიდ მკვლევარს მაკალუს სახელთან დაკავშირებით ლაბირინთებში შევყავართ. იგი ამბობს, რომ სახელწოდება „მაკალუ“ მყინვარ „კანჩუნგიდან“ გამონაჟურ მდინარე კამას ან კამა-ჩუს სახელიდან მომდინარეობსო. მისი აზრით, დროთა განმავლობაში „კამაჩუ“ „კამალუ“ გამხდარა. მერე „კამალუს“ ტრანსფორმაცია განუცდია, მარცვლები გადაადგილებულა და „მაკალუ“ მიგვიღია.

იმავდროულად, დირენფურტის აზრით, სწორი იქნებოდა, თუ მაკალუს მასივს კამალუნგცზეს ვუწოდებთ, რაც ამგვარად უნდა ითარგმნოს — „კამას ველზე აღმართული მთა“.

ასეა თუ ისე, ახლა გავიხსენოთ „კამაის ველზე აღმართულ“ შავ ბუმბერაზზე პირველასვლების „დიადი დრო“.

***

მაკალუს დალაშქვრის „დიადი დრო“ 1954 წელს დაიწყო. როგორც უკვე ვთქვით, მაკალუს სამი ქვეყნის სამი ექსპედიცია მიადგა. ერთი იყო ამერიკისა, რომელიც კალიფორნიის მთამსვლელთა კლუბმა მოაწყო. მას სათავეში ედგა ფიზიოლოგი უილიამ სისი, ხოლო ექსპედიციის წევრები გახლდნენ კ. მაიერი, ა. სტეკა, რ. ჰაუსტონი, უ. დანმაიერი, ფ. ლიპმანი, უ. ლონგი და უ. ანსოლდი. მათ 5 აპრილს მწვერვალის სამხრეთ-დასავლეთი კედლის ძირში 4700 მეტრზე მოაწყვეს საბაზო ბანაკი, სადაც ბარუნის ხეობიდან ავიდნენ.

სადაზვერვო გასვლების მერე 18 აპრილს მწვერვალისკენ სამხრეთ-აღმოსავლეთის თხემზე „გზის გაყვანას“ შეუდგნენ. ეს გზა ტექნიკურად რთული, მაგრამ ქარებისაგან შედარებით დაცული გახლდათ. მთამსვლელებმა 14 მაისამდე 6700 მეტრ სიმაღლეზე ბანაკი მოაწყვეს და ძლიერი ქარბუქიც ამოვარდა, რამაც ისინი უკან დააბრუნა...

19 მაისს მათ განმეორებით შეუტიეს მწვერვალს. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი მთლად დაწყნარებული არ იყო, 7050 მეტრამდე ააღწიეს და მეხუთე ბანაკიც გამართეს. მეორე დღეს მოიერიშე ჯგუფმა, რომელშიც ანსოლდი და ლონგი იყვნენ, გზა გააგრძელა და კიდევ 150 მეტრით აიწია ზემოთ, მაგრამ წელამდე ახალ თოვლში და ძლიერ ქარში მეტის მიღწევა ვეღარ შეძლეს. გამოდარებასაც პირი აღარ უჩანდა, მუსონიც ახლოვდებოდა და ამერიკელებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი.

მართალია, ისინი „მხოლოდ“ 7100 მეტრამდე ავიდნენ, მაგრამ თავს იმით „ინუგეშებდნენ“, რომ ყველაზე რთული მონაკვეთი დავძლიეთ და ბუნებას რომ ხელი შეეწყო, მწვერვალსაც მივაღწევდითო.

***

იმავე წელს მწვერვალის ფერდობებზე გამოჩნდა ახალზელანდიის მთამსვლელთა კლუბის მიერ ორგანიზებული ექსპედიცია, რომელსაც წინა წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე თენსინგ ნორგეისთან ერთად პირველამსვლელი ედმუნდ ჰილარი მეთაურობდა. ეს ექსპედიცია ინგლისელი მთამსვლელებითაც იყო გაძლიერებული და ძალზე ძლიერი შემადგენლობით გამოირჩეოდა. მასში იყვნენ ჯომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის სხვა წევრებიც — ჯორჯ ლოუ და ჩარლზ ევანსი; იყო ნორმან ჰარდიც, ვინც მომდევნო წელს კანჩენჯანღაზე პირველასვლას იზეიმებს. მათ გარდა ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ჯიმ მაკ-ფერლეინი, ჯიმ ჰარორუ, უ. ბივენი, კოლინ ტოდი, დ.ჰაროუ, ბრინ უილკინსი და ექიმი მიხაელ ბოლი — ასევე კარგი მთამსვლელი.

მათ საბაზო ბანაკი ამერიკელებისაგან ახლოს, მყინვარ ბარუნის გვერდზე 4900 მეტრზე დასცეს და მწვერვალზე ასვლა ჩრდილოეთის უღელტეხილის მხრიდან განიზრახეს.

მაგრამ მთამსვლელებმა, როგორც იტყვიან, ნაბიჯის გადადგმა ვერ მოასწრეს და ხიფათში ჩავარდნენ. ისინი მაკალუზე შეგულებული მარშრუტის დასათვალიერებლად 6412 მეტრი სიმაღლის უსახელო მწვერვალზე ასულნი რომ ბრუნდებოდნენ, უილკინსს მყინვარზე თოვლის ხიდი ჩაენგრა და 20-მეტრიან ნაპრალში ჩავარდა. თოკის მეორე ბოლოში ჩაბმული მაკ-ფერლეინი ამას არ ელოდა. იგი მოულოდნელი ბიძგისაგან მყინვარზე დავარდა, მერე მის ზედაპირზე ხახადალებული ნაპრალისკენ ისეთივე სისწრაფით გასრიალდა, როგორითაც მისი მეგობარი იქ ჩავარდა და თვითონაც თან გადაჰყვა. უილკინსის თავისუფალი ვარდნის სისწრაფე ასე თუ ისე მეგობრის წონამ შეამცირა და იგი თითქმის საღ-სალამათი გადარჩა, მაკ-ფერლეინის „უპარაშუტო“ ფრენა კი მძიმედ დამთავრდა — იგი იმდენად დაშავდა, რომ მოძრაობა აღარ შეეძლო. უილკინსმა ორი საათის წვალების მერე ნაპრალს თავი დააღწია, საბაზოში ჩავიდა და მაშველს უხმო. ჰილარი ხუთ შერპთან ერთად მეგობრის საშველად გავარდა, მაგრამ ნაპრალში ჩასული თავად გახდა მისაშველებელი, რაკილა ორი ნეკნი ჩაიტეხა. შერპების დახმარებით იგი გაჭირვებით ამოვიდა, მაკ-ფერლეინს კი, რაკი მეტი გზა აღარ იყო, ორი საძილე ტომარა ჩაუშვეს, რათა ღამე იქ გაეთია, თავად კი საბაზოში ჩავიდნენ.

მეორე დღეს მაშველებს მომჯობინებული უილკინსიც დაემატათ, მაგრამ მეგობარი მეტად შავ დღეში დახვდათ. იმ ღამეს მძიმედ დაშავებული საძილე ტომარაში [illegible] მხოლოდ ზემოდან [illegible] [illegible] ნავაც დაემატა.

ამჯერად მთამსვლელებმა მეგობარი კი იხსნეს იმ ნაპრალისაგან, მაგრამ მისმა საბაზო ბანაკში ჩაყვანამ დიდი დრო და ენერგია წაიღო, რის გამოც ექსპედიცია შეფერხდა. მერე, როცა მწვერვალისკენ დაიძრნენ, სამ დღეში მესამე ბანაკი (6700 მ.) მზად ჰქონდათ. შემდეგ მეოთხეც დადგეს. ევანსმა და ჰარორუმ კიდევ ერთი საბანაკო ადგილიც შეიგულეს და ამასობაში მომჯობინებული ჰილარიც „ბრძოლაში“ ჩაერთო, მაგრამ ზემოთ ასული საღამოს ცუდად შეიქნა და მეგობართა ჩამოსაყვანი გახდა. მისი მდგომარეობა მერე უფრო დამძიმდა და ექსპედციამ საქმიანობა შეწყვიტა.

ამ ექსპედიციას მიღწევაში ეთვლება პეტანგზეზე (6730 მ.) და ბარუნზეზე (7184 მ.) ლაშქრობები, რაც მაკალუს დასაზვერად განხორციელდა.

***

იმ წელიწადს მესამე ექსპედიცია ფრანგებმა მუსონური წვიმების მერე, შემოდგომაზე მოაწყვეს. იგი საფრანგეთის მთამსვლელთა კლუბის სამთო კვლევების ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული და მას შამონის ალპური სკოლის დირექტორი ჟან ფრანკო მეთაურობდა. ექსპედიციაში იყვნენ რვაათასიანებზე პირველი წარმატებული ექსპედიციის წევრები ჟან კუზი, ლიონელ ტერაი, აგრეთვე ჟან ბუვიე, პიერ ლერუა და გიდო მანიონი. მათ დასავლეთ უნაგირადან ჩრდილო-დასავლეთის თხემზე გადასვლა და იქიდან მწვერვალზე ასვლა ამჯობინეს.

ფრანგებმა საბაზო ბანაკი მყინვარ ბარუნის მარჯვენა მხარეს, 4900 მეტრზე მოაწყვეს. ეს იყო 15 სექტემბერს, 10 ოქტომბრამდე კი ისინი სააკლიმატიზაციო პერიოდს გადიოდნენ, რაშიც მათ ხელს უწყობდა სავარჯიშო ასვლებიც. მათ ამ მიზნით დალაშქრეს 6209, 6294, 6322, 6459, 6511, 6774, 6720, 6885 მეტრი სიმაღლის უსახელო პიკები, აგრეთვე მწვერვალი პეტანგზე, აკლიმატიზაციისა და ვარჯიშის გარდა ამ მწვერვალზე ასვლა მაკალუს მარშრუტის დაზუსტებასაც ისახავდა მიზნად, მერე კი უბრალოდ გზის დაზვერვა და საშუალედო ბანაკების გამართვაც დაიწყეს. 12 ოქტომბერს უკვე მზად იყო მეხუთე ბანაკი, რომელიც მაკალუს ჩრდილოეთ უნაგირაზე 7410 მეტრ სიმაღლეზე დაედგათ. მერე ამინდი მკვეთრად გაფუჭდა — თოვლიანი ქარბუქი ამოვარდა და ყინვამ მოუჭირა, რის გამოც 7600 მეტრზე მეექვსე ბანაკის დადგმა ვეღარ შეძლეს.

22 ოქტომბერს ფრანკო, ტერაი და შერპები გიალცენ ნორბუ და პა ნურბუ მაკალუ II (7660 მ) ავიდნენ. 30 ოქტომბერს ტერაიმ და კუზიმ მაკალუს მთავარ მწვერვალზეც სცადეს ასვლა, მაგრამ 7800 მეტრიდან პირი იბრუნეს, რაკი ქარიშხალი ამოვარდა და ყინვამაც უფრო იმძლავრა.

***

ასე დასრულდა მაკალუზე ასვლების პირველი ცდები. მართალია, სამივე ექსპედიციის შედეგები (ახალზელანდიელების 7000, ამერიკელების 7200, ფრანგების 7800 მ.) დამაიმედებელი ჩანდა. მაგრამ მომდევნო წელს მაკალუს დასალაშქრად მხოლოდ ფრანგები ჩავიდნენ და მიზანსაც მიაღწიეს, რაზეც მალე გიამბობთ.

ავთანდილ ბურასაშვილი



# კიროტი, ბუბკა, მორსელი, ჯონსონი და სხვებიც

დასაწყისი პირველ გვერდზე

მეოთხეზე — მარში, სხვადასხვა მიზეზთა გამო აკლდათ ლუისი, ბარელი და მიჩელი, მაიკ ჯონსონი კი დუბლს ისე დაეღალა, რომ ამ ამანათრბენისთვის ვეღარ გაწირეს.

ბადროს მტყორცნელ ქალთა შეჯიბრი მოიგო 34 წლის ბელარუსმა ელენა ზვერევამ, რომელმაც პირველსავე ცდაზე 68,64 მეტრზე მოიშინა იარაღი. მეორე ადგილზე ერიკა ვიალუდერი (გერმანია) გავიდა, მესამეზე კი ოლგა ჩერნოვსკაია (რუსეთი). კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარიცა მარტინმა თავი ვერაფრით გამოიჩინა.

თუ 5 000 მეტრზე რბენასაც მოიგებდა, პორტუგალიელი ფერნანდა რიბეირო სტაიერულ დუბლს შეიძლებდა. რიბეიროს გეგმა ჩაუშალა 25 წლის ირლანდიელმა სთნია ოსალივანმა, რომელიც ფინიშამდე 150 მეტრი რომ დარჩა, წინ იყო, მერე კი ტემპს უფრო უმატა. მისი დროა 14.46,47. მესამე ადგილზე მაროკოელი ზარა კუაზისი გავიდა.

ბოლო დღეს, კვირას, მოიღრუბლა და ნიავმაც წამოუბერა. გათამაშდა მედლების ცხრა კომპლექტი, მათ შორის — ოთხივე ამანათრბენში.

ამერიკელები სამი ესტაფეტის ფინალში მონაწილეობდნენ და სამივეგან გაიმარჯვეს. ასმეტრიან ეტაპებიან ამანათრბენში თორენსმა ბოლო ეტაპზე ბოლოსდაბოლოს ისევ აჯობა ოთის: აშშ-მა (42,21) უკან მოიტოვა იამაიკა და გერმანია (43,10). ოთხჯერ 400 მეტრზე სამეული ასე გამოიყურება: აშშ (3.22,39), რუსეთი, ავსტრალია. აქ ფინიშთან მეორეებმა იამაიკელმა დიაცებმა მიირბინეს, მაგრამ ამათაც გზის მოჭრა დაბრალდათ.

ვაჟთა სპრინტერული ესტაფეტის ფინალში გავიდნენ ბრაზილია, შვედეთი, იტალია, კანადა, ავსტრალია, იამაიკა, უკრაინა და იაპონია. გაიმარჯვა კანადამ (38,30), რომელშიც ბოლო ორ ეტაპზე ბრუნი სურინმა და დონოვან ბეილიმ ირბინეს. მეორე ადგილზე ავსტრალია გავიდა, მესამეზე — იტალია (39,07).

როგორც მოსალოდნელი იყო, მაიკ ჯონსონი ირბენდა ბოლო ეტაპს ოთხჯერ 400 მეტრიან ესტაფეტაში. აქაც აშშ-მა დამაჯერებლად გაიმარჯვა 2.57,52.



კუბელი ანა კიროტი ასეთი ყოფილა გაზის აფეთქებამდე

ჩეხმა შუბის მტყორცნელმა ჲან ჟელეზნიმ, ვისაც ამჯერად ყველანაირი ტიტული ეკუთვნის, მძიმე-მძიმედ დაიწყო და თუმც შესარჩევ შეჯიბრში შუბი 90,12 მეტრზე გასტყორცნა, ფინალში დიდხანს კარგი შედეგი ვერ ჰქონდა. ჟელეზნიმ ბოლოს მაინც გაიმარჯვა (89,58 მეტრი), სთივ ბაქლიმ (ბრიტანეთი) კი ბოლო ტყორცნით (86,30) მეორე ადგილი დაიჭირა.



იამაიკელ მერლინ ოთის ჩემპიონობა მას შემდეგლა ერგო, რაც ამერიკელ თორენსს გზის მოჭრა დაბრალდა

ბულგარელ სტეფკა კოსტადინოვას იანვარში შვილი ეყოლა, ვარჯიში აპრილშილა დაიწყო, მაგრამ მაინც ყველას აჯობა სიმაღლეზე ხტომაში — 201 სანტიმეტრი. ექს-რუმინელი, აწ კი გერმანელი ალინა ასტაფეი და უკრაინელი ინგა ბაბაკოვა 199 სანტიმეტრზე ახტნენ, მაგრამ ნაკლები ცდის წყალობით ვერცხლი ასტაფეის შეხვდა.

მოეწყო სამი გარბენიც. 800 მეტრზე რბენის ფინალში, მართალია, არ იყო მუტოლა, მაგრამ ასპარეზობდა კუბელი ანა ფიდელიო კიროტი, ვისაც ამ ორი წლის წინ შინ, სამზარეულოში გაზი აუფეთქდა და დასახიჩრდა, მერე კი ბავშვი ნაადრევად ეყოლა და მოუკვდა. ამ ქალმა უამრავი ოპერაცია გაიკეთა, სპორტშიც მობრუნდა და სეზონის საუკეთესო შედეგით 1.56,11 კიდეც მოიგო მსოფლიო პირველობა. კიროტი ახლა მშობლიურ სოფელში რომ ჩავა, თურმე ფიესტას გაუმართავენ, ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ კი აქტიურ სპორტს თავს დაანებებს.

1 500 მეტრზე რბენას ზედიზედ მესამე ჩემპიონატია იგებს დიდებული ნურადინ მორსელი (ალჟირი). მოელოდნენ, რომ მას ტოლს არ დაუდებდა 21 წლის ბურუნდელი ვენუსტი ნიანგბო, მაგრამ ეს ყმაწვილი ბოლოს მესამე ადგილზე დარჩა. მორსელიმ, ვისი შედეგიც 3.33,73-ია, მთელი 30 მეტრით ჩამოიტოვა ჭერქვეშა მსოფლიო ჩემპიონი, მაროკოელი ისმაილ ალგარუში.

როგორც ყოველთვის, შეჯიბრება დააგვირგვინა ვაჟთა გარბენმა 5 000 მეტრზე. მსოფლიოს ჩემპიონმა, 20 წლის კენიელმა ისმაილ კირუიმ ვაჟკაცური ტაქტიკა აირჩია — თავიდანვე წინ გაიჭრა და თუმც ბევრჯერ დაუპირეს დაწევა, ახლოსაც არავინ გაიკარა. კირუის დროა 13.16,67. მეორე ადგილზე მაროკოელი ხალიდ ალამი გავიდა (13.17,15), მესამეზე — კიდევ ერთი კენიელი, შემ კუროორიო.

ამით გეტებორგის მსოფლიო პირველობა ჩამთავრდა. მორიგ, მეექვსე ჩემპიონატს 1997 წელს უმასპინძლებს ათენი.

რეზო ნემსაძე



უკრაინელი სერგეი ბუბკა ერთადერთი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია

## აქეთური, იქითური

როგორც ჩვენმა ლონდონელმა თანამშრომელმა ზურაბ მეძველიამ გვაცნობა, ინგლისი — ვესტ-ინდოეთის მეხუთე საკრიკეტო ტესტი ნოთინგემის „თრენთ ბრიჯზე“ უინტერესოდ მიმდინარეობს. ზოლი ისე სწორი და ნელია, რომ ტაფელოსნებს თავს ძალად უწონიან. ინგლისის კაპიტანმა მაიკ ათერთონმა მოიგო წილისყრა და პირველი შესვლა თავის ბიჭებს დააწყებინა. პირველი დღის ბოლოს ინგლისს 227 გარბენი დაუგროვდა 4 ბჭის სანაცვლოდ. მეორე დღესაც მასპინძლები იცავდნენ ბჭეებს და მონაგარი 440-მდე აიყვანეს, გრემ ჰიქმა კი 118 გაახერხა. ვესტ-ინდოელთაგან ბენჯამინმა 5 ბჭე მოინადირა. იმავ საღამოს დაიწყო სტუმართა პირველი შესვლა. თამაში რომ შეწყდა, ვესტ-ინდოეთი 25-ს იყო 0-ის სანაცვლოდ. სტუმრებს ერთი მიზანი ამოძრავებდათ — როგორმე 240-ს უნდა გადასცდენოდნენ, ინგლისს ზედიზედ მეორედ რომ ვერ შეეგზავნა ზოლზე. მართლაც, ბრაიან ლარას მეცადინეობით, ვინაც 28 ოთხეული გაახერხა, სულ კი 152 გარბენი მოაგროვა, ვესტ-ინდოეთის მონაგარი მესამე დღის ბოლოს 334 გახდა 5-ის სამაგიეროდ. მეოთხე დღეს ინგლისმა მეტოქეს მეათე ტაფელოსანიც რომ გაუგდო, ესენი უკვე 417-ს იყვნენ, ე.ი. ინგლისმა პირველი შესვლა სულ 23 გარბენით მოიგო. ინგლისელებმა მეორე შესვლა ყოჩაღად ვერ დაიწყეს და ერთი პირობა 36-საც იყვნენ 2-ის სანაცვლოდ, მაგრამ მეოთხე დღის ბოლოს ანგარიში 111-მდე ისე გაზარდეს, რომ მეტი ბჭე აღარ დაუკარგავთ. მეხუთე დღის წინ ცხადზე უცხადესი იყო, რომ თამაში უშედეგოდ ანუ ფრედ დასრულდება — წარმოუდგენელია ასეთ ზოლზე ერთი დღის მანძილზე დაილეწოს 18 ბჭე მაშინ, როცა წინა ოთხი დღის განმავლობაში 22-ის ალება ძლივს მოხერხდა.

*

ბრიტანეთში გაიხსნა ლიგის რაგბის სეზონიც. პროფესიონალებმა „საქველმოქმედო ფარის“ თამაში დუბლინის იპოდრომზე გამართეს. თასის მფლობელმა და ჩემპიონმა „ვიგანმა“ 45:20 დაამარცხა ფინალისტი „ლიდსი“ და „ფარი“ ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა.

*

ატლანტაში, წყნარი ოკეანის აუზის წყალჯომარდობის პირველობაზე აშშ-ის ნაკრებმა (ფოქსი, ჰოდოპოლი, ოლსონი, ჰოლი) წამნახევრით გააუმჯობესა თავიანთივე წინამორბედების მიერ სეულის ოლიმპიადაზე დამყარებული თავისუფალი სტილით ცურვის ესტაფეტის (ოთხჯერ 100 მეტრი) მსოფლიო რეკორდი. ამერიკელთა შედეგია 3.15,11.

*

ატლანტაშივე დასრულდა ბალახის ჰოკეის წინაოლიმპიური ტურნირი. ვაჟთა ფინალი 1:1 დასრულდა, პენალტებით კი გერმანიამ 4:3 მოუგო ავსტრალიას. მესამე ადგილის თამაშში ინდოეთმა 2:0 დაამარცხა აშშ.



# ბოქსებში მოგებული რბოლა

„უილიამსსა“ და „ბენეტონს“ წლეულს „რენოს“ ერთნაირი ძრავები კი უდგათ, მაგრამ საკვალიფიკაციო შეჯიბრში ფრენკ უილიამსის ბოლიდების უპირატესობა აშკარაა: უკვე გამართული ათი ეტაპიდან შვიდში კვალიფიკაცია სწორედ მათ მოიგეს. უფრო მეტიც, გასულ პარასკევ-შაბათს უნგრეთის დიდი პრიზის შესარჩევ წრეებზე ჯირითი „უილიამსის“ დუეტის ტრიუმფით დასრულდა — დეიმონ ჰილმა საუკეთესო დრო აჩვენა (ზედიზედ მეოთხედ!), დევიდ კულტჰარდი მეორე იყო. მიხაელ შუმახერმა თავიდან ყოჩაღად კი იარა, მაგრამ მანქანა მოუსრიალდა და საბოლოოდ მესამე ადგილსღა დასჯერდა.

შაბათს „შუმის“ დაუჩივლია, ისეთი სიცხეა, ზალ ძრავის გადახურებისგან ალბათ პრობლემები გვექნებაო. რას იფიქრებდა ჩემპიონი, რომ ეს წინასწარმეტყველება ზედ ფინიშთან დაუხვდებოდა.

რბოლა „ჰუნგარორინგის“ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ტრასაზე, სადაც გასწრება თითქმის შეუძლებელია, თავიდანვე „უილიამსის“ სცენარით წარიმართა — დაწინაურებულ ჰილს ზურგს უმაგრებდა შოტლანდიელი თანგუნდელი, რომელსაც შუმახერის „ბენეტონი“ უნდა შეემუხრუჭებინა. მოკლედ, „უილიამსს“ ისეთი მომგებიანი პოზიცია ჰქონდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი და რომ არ გაემარჯვნა, უდიდესი სიბრიყვე იქნებოდა. მაგრამ „უილიამსების“ იდილია მხოლოდ ოციოდე წუთს გაგრძელდა — მე-13 წრეზე კულტჰარდი ერთ-ერთ მოსახვევში არასწორად შევიდა, რითაც მყისვე ისარგებლა ჩემპიონმა, ოსტატურად აუარა გვერდი და ლიდერს გაეკიდა. ჰილი ამ დროს მას უკვე 15 წამით უსწრებდა, თუმცა ათი წრის შემდეგ სხვაობა 7 წამამდე შემცირდა.

ბუდაპეშტში შარშანდელი რბოლა შუმახერმა სწორი ტაქტიკის წყალობით ნახევარწუთიანი უპირატესობით მოუგო ჰილს. „შუმიმ“ მაშინ სამჯერ ჩაიმატა საწვავი, რამაც საშუალება მისცა ნახევრადცარიელი ავზით მსუბუქად ევლო და დიდი სიჩქარეც განევითარებინა. ბრიტანელმა კი ის რბოლა, შეიძლება ითქვას, ბოქსებში წააგო, რადგან მხოლოდ ორჯერ მიაკითხა ბენზინისთვის და მძიმე მანქანით ვერ შეძლო გერმანელის დაწევა. ამჯერად მან ეს შეცდომა გაითვალისწინა და სამჯერ შევიდა ბოქსებში, ამასთან თანაბარი ინტერვალებით (მე-17, 38-ე, 58-ე წრეებზე), ჩემპიონს კი აშკარად აერია თვლა — პირველად, ჰილივით, მე-17 წრეზე შეასრულა ეს პროცედურა, მერე 27-ზე, მესამედ კი ორჯერ მეტი მანძილის გავლის შემდეგ. თანაც მაშინ, როცა ფინიშამდე ლამის ნახევარი დისტანცია რჩებოდა.

და მაინც, შუმახერი ისე დაუახლოვდა უმთავრეს კონკურენტს, რომ ერთხელ, 44-ე წრეზე ჰქონდა კიდეც გასწრების საშუალება, მაგრამ მეტოქემ დროზე შენიშნა მისი მანევრი, არ გაატარა და ლიდერობაც ბოლომდე შეინარჩუნა. რბოლის დასასრულს გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა, რადგან „შუმიმ“ 10-12-წამიან ჩამორჩენას ვერაფერი მოუხერხა და შეურიგდა კიდეც მეორე ადგილს, მაგრამ სწორედ ამ დროს უმუხთლა მანქანამ და ფინიშამდე სამი წრით ადრე ძრავს ბოლი აუვიდა. წლეულს ეს პირველი შემთხვევაა, როცა შუმახერს ტექნიკამ უღალატა — მანამდე რბოლებიდან მისი ორჯერ გამოთიშვის მიზეზი ავარია იყო.

ფინიშთან მეორე მიიჭრა კულტჰარდი, ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს კი, რომლის პრიზიორობასაც აღარაფერი აკლდა, ზედ ფინიშთან გაუთავდა საწვავი და მესამის ნაცვლად ერთბაშად მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა.

ზედიზედ მეორედ შუა რბოლაში გამოეთიშა ბრძოლას ჟან ალეზის „ფერარი“. ორი ეტაპის წინ ის მყარად იდგა ცხრილში მესამე საფეხურზე, მაგრამ ამ ორი „ჩავარდნით“ მშვენივრად ისარგებლეს კონკურენტებმა (კულტჰარდი ორჯერ მეორე იყო, ბერგერი — მესამე, ჰერბერტი კი — მეოთხე) და ფრანგის 10-15-ქულიანი უპირატესობისგან თითქმის არაფერი დარჩა.

ჰილის გამარჯვება მეორე იყო „ჰუნგარორინგზე“, მე-12 კარიერაში და რაც უფრო აღსანიშნავი, 34 წლის პილოტმა 200-ქულიან, გროსმაისტერულ ზღურბლს გადააბიჯა. სადღეისოდ მის ანგარიშზეა 44 რბოლაში დაგროვილი 205 ქულა, რაც ფორმულის 46-წლიან ისტორიაში 22-ე შედეგია.

ირაკლი ახალაძე

13 აგვისტო. უნგრეთის „გრან-პრი“. ავტოდრომი „ჰუნგარორინგი“. წრის სიგრძე 3968 მ, 77 წრე — 305,5 კმ. უსწრაფესი წრე — დეიმონ ჰილი („უილიამსი“) — 178,01 კმ-სთ.

1. დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი, „უილიამსი“) — 1სთ, 46,5 წთ (საშუალო სიჩქარე 172,3 კმ-სთ);
2. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „უილიამსი“) — ჩამორჩა 33,4 წამით;
3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 1 წრით;
4. ჯონი ჰერბერტი (ბრიტანეთი, „ბენეტონი“) — 1 წრით;
5. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (გერმანია, „ზაუბერი“) — 1 წრით;
6. ოლივიე პანი (საფრანგეთი, „ლიჟიე“) — 1 წრით.

კონსტრუქტორთა თასი: 1. ბენეტონი — 74 ქულა; 2. უილიამსი — 68; 3. ფერარი — 57; 4. ჯორდანი — 13; 5. ლიჟიე — 12; 6. მაკლარენი — 10; 7. ზაუბერი — 9; 8. ეროუზი — 1.

| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | ბენეტონი | 10 | 4 | - | 10 | 10 | 2 | 10 | - | 10 | - | 56 |
| დეიმონ ჰილი | უილიამსი | - | 10 | 10 | 3 | 6 | - | 6 | - | - | 10 | 45 |
| ჟან ალეზი | ფერარი | 2 | 6 | 6 | - | - | 10 | 2 | 6 | - | - | 32 |
| დევიდ კულტჰარდი | უილიამსი | 6 | - | 3 | - | - | - | 4 | 4 | 6 | 6 | 29 |
| ჯონი ჰერბერტი | ბენეტონი | - | 3 | - | 6 | 3 | - | - | 10 | 3 | 3 | 28 |
| გერჰარდ ბერგერი | ფერარი | 4 | 1 | 4 | 4 | 4 | - | - | - | 4 | 4 | 25 |
| ოლივიე პანი | ლიჟიე | - | - | - | 1 | - | 3 | - | 3 | - | 1 | 8 |
| რუბენს ბარიკელო | ჯორდანი | - | - | - | - | - | 6 | 1 | - | - | - | 7 |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | ზაუბერი | - | 2 | 1 | - | 1 | - | - | 1 | - | 2 | 7 |
| ედი ერვაინი | ჯორდანი | - | - | - | 2 | - | 4 | - | - | - | - | 6 |


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29